ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 2019 №49 (8003) ფასი: 60 თეთრი

სოსო ცინცაძე: ხაზარაძე-ჯაფარიძის მოსმენა ივანიშვილის დავალებით ჩააგდეს



გვ.4

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

კალაძე თბილისის მერობიდან მიდის?

„ბიძინა ივანიშვილი მას სოფლის მეურნეობის მინისტრად უშვებს“

ლადო სადღობელაშვილი: „ანაკლიის პორტის აშენება საქართველოს ნატოში შესვლის ტოლფასია“

გვ.3

ეკა ბესელია ირაკლი კობახიძეს იმპიჩმენტით დაემუქრა

გვ.4

დავით ჭიჭინაძე ახალ პარტიას ქმნის

გვ.6

„ოცნებიდან“ დეპუტატების გადინება გრძელდება

„ივანიშვილი ჩაიძირება, ამ გუნდის კაპიტნად თუ დარჩა“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „შეიძლება ახალი „ქართული ოცნება“ გაჩნდეს“

დავით მესხიშვილი: „ვინც 9 საათიდან 6-მდე მუშაობს, მთელი ხელფასით პარკინგის ფული უნდა გაისტუმროს?!“

გვ.6

გიორგი ახვლედიანი: „ეკა ბესელია ივანიშვილის ახალი პროექტი შეიძლება იყოს“

გვ.5

სამართალი

გვ.7

„ლელა ქსოვრელმა 4 წლის შვილს თავში ჩაარტყა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია“

აჭარაში პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

რუსთავი-გაჩიანის ხიდის საყრდენი სამაგრების მოპარვა სცადეს

ობიექტის კერძო დაცვის თანამშრომლებმა ქურდობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

ISSN 1987-9385

5 რატომ ითვლება სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი აზერბაიჯანში რთულად?

6 ნანა კაკაბაძე „კანონიერი ქურდების“ დევნას აპროტესტებს

2 რატომ ცდილობს „ოცნება“, სააკაშვილის შერჩეული ყველა მოსამართლე უვადოდ დანიშნოს?

8 ამერიკელებმა რუსების წინააღმდეგ კიბერშეტევა განახორციელეს

„ივანიშვილი ჩაიძირება, ამ გუნდის კაპიტნად თუ დარჩა“

რამაზ საყვარელიძე: „შეიძლება ახალი „ქართული ოცნება“ გაჩნდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, „ქართულ ოცნებაში“ ბოლო დროს მიმდინარე პროცესებს თქვენ რას დაარქმევდით?

– ეს ყველაზე რთული კითხვაა, რაც კი ბოლოს ჩემთვის დაუსვამთ. ვერ გეტყვით, რა პროცესს ვადევნებთ თვალყურს. ერთი კი ფაქტია, ეს პროცესები არ არის კარგი თავად „ქართული ოცნებისთვის“.

ასევე შეუძლებელია, გემის კაპიტანი არ გრძნობდეს, რომ გემი იძირება.

– და თუ გრძნობს, რატომ არ მოქმედებს?

– იქნებ მოქმედებს კიდეც. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. კიდევ არის გარკვეული დრო საჭირო, რომ გავიგოთ, რეალურად რასთან გვაქვს საქმე.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს არის ერთგვარი სტრატეგია. სტრატეგია, რომელმაც გარკვეულ შედეგზე უნდა გაიყვანოს ბიძინა ივანიშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გეტყოდით, რომ საკუთარი ხელით აკეთებს იმას, რასაც მტერი ისურვებდა. ასე პროცესის გაგრძელება არ შეიძლება, რადგან წამგებიანია, სხვა არაფერი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტზე საუბრობს ბესელია. ეს რამდენად რეალურია?

– ირაკლი კობახიძემ ვერ მოახერხა ურთიერთგატანის, ერთიანობის, შინაურობის, გუნდურობის პრინციპის დაცვა, რაც არ არის მეორეხარისხოვანი თუნდაც პოლიტიკაში. ის მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის აღმოჩნდა მისაღები.

– არის ასეთი ვერსიაც, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ გუნდისგან თავის დახსნას ცდილობს და 2020 წლისთვის უკვე ახალი სახეებით გავა არჩევნებზე. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– გარკვეული კორექტირებით კი. მე არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც თავისუფლდებოდეს გარკვეული ადამიანებისგან, თუნდაც გარკვეული ჯგუფისგან, ის აკვირდებოდეს მოვლენებს და შემდეგ მართლაც მოიყვანოს სრულიად ახალი სახეები, მაგრამ ასევე იმ ახალ სახეებთან ე.წ. ძველი გვარდიაც დაიყენოს გვერდით და ასე გავიდეს 2020 წლის არჩევნებზე.

– ეკა ბესელიამ ერთგვარი ნიშნისმოგებით თქვა: ვნახოთ, სად იქნება 2020 წლის არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილიო.

– ძველებთან თუ ახლებთან?! დიახ, სწორედ ეს მოგახსენეთ. ცხადია, ის ასევე დააკვირდება ე.წ. ძველებს, თუ რას იზამენ ისინი 2020 წლამდე, როგორ გაივლიან ამ პერიოდს, მოიპოვებენ თუ არა ხალხში ნდობას, პოპულარობას და ა.შ. მათ მოუწევთ რაღაცების დამტკიცება, ჟურნალისტების კითხვებზე პასუხების გაცემა, თან დამაჯერებელი პასუხების გაცემა – რას აკეთებდნენ მაშინ, როდესაც, მაგალითად, მურუსიძე უვადოდ ინიშნებოდა და ა.შ.

ცხადია, ამ ყველაფერს თვალ-ყურს მიადევნებს ივანიშვილიც. შემდეგ თუ დასჭირდა, არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ მათ დაუძახოს.

– და არა კობახიძის გუნდს?

– კობახიძის გუნდმა საპრეზიდენტო არჩევნები წააგებინა. პირველი ტური სწორედ მათ კისერზეა. მეორე ტურში ჩაერთო ბიძინა ივანიშვილი მთელი თავისი რესურსით და უკვე რაც მოხდა და რის ფასად მოიპოვეს გამარჯვება, ეს კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის.

შეუძლებელია, ივანიშვილი ვერ გრძნობდეს, რომ თუ ამ გემის კაპიტნად დარჩება, მაშინ ამ გემთან ერთად ჩაიძირება. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ახალი „ქართული ოცნება“ გაჩნდეს, სადაც ძველი სახეებიც გამოერევიან. როდესაც მას გაუჭირდა, გახსოვთ, როგორ დაუძახა ე.წ. ძველ გვარდიას.

2020 წლისთვის ივანიშვილი ასე დააყენებს საკითხს: ვინ არის წამგებიანი და ვინ არის მომგებიანი. გაუგებარია, რატომ უნდა გაწიროს თავი ივანიშვილმა ე.წ. ახლებისთვის, თუ ისინი არც ერთ ეტაპზე მომგებიანი არ იქნებიან ივანიშვილისთვის.

მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ გაზაფხულზე ბევრი რამ ნათელი გახდება, ახლა დუღილის პროცესია, გაზაფხული ამ პროცესს უფრო დააღვინებს.

– ისეთი არაფერი ხდება, რაც არ მომხდარა მოქალაქეთა კავშირში, ნაციონალურ მოძრაობაში. პარალელები არის?

– დიახ, გეთანხმებით. პროცესი, რომელიც ახლა მმართველ პარტიაში ვითარდება, მართლაც არ არის ახალი, მას თავისი პრეისტორია აქვს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან მოყოლებული ყველა მმართველი პარტია, რბილად რომ ვთქვა, იყოფოდა. უფრო მკვეთრად თუ ვიტყვი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდა ერთმანეთს.

მაგალითად, მრგვალი მაგიდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს. შემდეგ არანაკლები დაპირისპირება იყო მოქალაქეთა კავშირში, რომელიც ორად კი არ გაიყო, მარტივ მამრავლებად დაიშალა და შემდეგ საერთოდ გაქრა.

ნაციონალური მოძრაობა არ გამქრალა, მაგრამ ისიც ორად გაიყო. არადა თავის დროზე ვერავინ იფიქრებდა, იმ მონოლითს თუ რამე დაშლიდა.

იგივე ხდება დღეს „ქართულ ოცნებაში“, მეტი არაფერი. აქ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რა მოსდით მმართველ პარტიებს, აქ მთავარია, რა ასახვას ჰპოვებს ეს ქვეყანაზე, როგორ იმოქმედებს მის ბედსა და განვითარებაზე.

ყველა გაყოფამ თავისი კვალი დაამჩნია ქვეყანას და ამას ვერ გავექცევით, ეს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიაა. მე ვერ გეტყვით, ამჯერად რა ასახვას ჰპოვებს „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები ქვეყნის მომავალზე, მაგრამ პარალელები ნამდვილად არსებობს და ამას ვერ წავუვალთ.

რატომ ცდილობს „ოცნება“, სააკაშვილის შერჩეული ყველა მოსამართლე უვადოდ დანიშნოს?

გულიკო ბალაძე

როგორ აფასებენ იმ პროცესებს, რაც ვითარდება მმართველ უმრავლესობაში? შეიქმნება თუ არა „ოცნების“ საპირწონე პოლიტიკური ძალა უმრავლესობიდან წამოსული პოლიტიკოსების მონაწილეობით? საზოგადოებაში ნაკლები ნდობით მოსარგებლე რიგი მოსამართლეების მიმართ დამოკიდებულებაში ემოცია და მორალურ-ზნეობრივი მხარე უფრო სჭარბობს თუ სამართლებრივი და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ეს არის გამოსაკვლევი? ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი ბიძინა გუჯაბიძე ესაუბრა.

– ბატონო ბიძინა, როგორ აფასებთ იმ პროცესებს, რაც განვითარდა მმართველ უმრავლესობაში? უმრავლესობის დაშლის ნიშნები აშკარად არის. თქვენი 25-წლიანი პოლიტიკური გამოცდილება რას გეუბნებათ?

– თუ უმრავლესობა დაიშლება, მე ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. უბრალოდ, მისი საპირწონე ძალა უნდა შეიქმნას. ერთ მხარეს ძალიან დიდი ძალა არ უნდა იყოს. მეორე მხარეს კი – სუსტი. ვგულისხმობ თვითონ „ოცნების“ გაყოფას. ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები მაშინ ვითარდება, როდესაც აზრთა სხვადასხვაობაა.

– ორად გაყოფილი ნაცმოძრაობაც არის.

– ხელისუფლებას ორად გაყოფილი ნაცმოძრაობა ორი მხრიდან უტევს, ძალაუფლება დათმეო. ნაცმოძრაობის ორივე მხარეს არის ოდიოზური ხალხი. მათ ოპოზიციონერობას სჯობს ისეთი ხალხის ოპოზიციონერობა, რომელიც ქვეყნის ინტერესებს თავის პოლიტიკურ ამბიციებს არ გადააყოლებს. ასეთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა თუ შეიქმნება მეორე მხრიდან, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები წარიმართება. მხედველობაში მყავს ბესელია, ფოფხაძე, გოგიჩაიშვილი და ასეთი ხალხი. დარწმუნებული ვარ, პროცესები იმ ვითარებამდე არ მივა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მივიდა ქვეყანა. ჩვენ შიში გვაქვს, ვაითუ, ქვეყანა დაპირისპირებამდე მივიდესო, მაგრამ არავითარი გადატრიალების მსგავსი პროცესების განვითარების შანსი არ არსებობს.

– თქვენ ბესელიას, გოგიჩაიშვილისა და სხვათა განცხადებებში პოლიტიკური ამბიცია დაინახეთ?

– ბუნებრივია, როცა პოლიტიკოსი არ ეთანხმება რაღაც გადაწყვეტილებას, ეს პოლიტიკური პროცესია. პოლიტიკური პროცესი მიდის. ვფიქრობ, ეს არის ჯანსაღი პროცესი. არავითარი ტრაგედია ამაში არ არის. იმაზე ფიქრი, ვაი, რა დაგვემართა, ქვეყანა აირევაო, სისულელეა.

– შეიძლება ქვეყანა არ აირიოს, მაგრამ მმართველი პოლიტიკური ელიტის ცვლილება მოხდეს მომავალში.

– ეს მოსალოდნელია. ყოველთვის ერთი და იგივე მმართველობა კარგი არც არის. უმრავლესობა კარგია, მაგრამ მერე თუ გუნდის შიგნითაც იქნება ოპონირება, ეს ჯანსაღი პროცესია.

– თქვენ მხარს დაუჭერდით მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერებას, სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივად აღიარებას? მოგეხსენებათ, ორი პროექტი იყო, რომელიც „ოცნების“ უმრავლესობამ ჩააგდო.

– სააკაშვილის მმართველობა დანაშაულებრივ რეჟიმად უნდა გამოცხადდეს. ცუდი იყო, რომ ამ პროექტის გატანა პარლამენტში მოუმზადებლად და უმრავლესობასთან შეუთანხმებლად მოხდა. თუ იცოდა, ჩავარდებოდა, პატრიოტთა ალიანსს აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში არ უნდა წარედგინა იმიტომ, რომ თვითონ პროცესის დისკრედიტაცია მოხდა, რაც „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციაც გამოდის.

საერთაშორისო წრეების მოსაზრებების გაუთვალისწინებლად, ამ პროცესის დაწყება შეცდომა იყო. თუმცა, პროექტს მხარს ვუჭერ. რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი რეჟიმი იყო. წინასწარ იყო გამოსაკვლევი და დასაზუსტებელი, რა კრიტერიუმით უნდა მიდგომოდნენ, იყო თუ არა შესაძლებელი, ამ პროცესის ბოლომდე გატანა და საერთაშორისო მხარდაჭერის მიღება ამ საქმეში. როდესაც ეს არ გაკეთებულა, ამგვარი პროექტის პარლამენტისთვის შეთავაზება შეცდომაა.

– ისე, დამეთანხმეთ, რომ თუკი „ოცნება“ მოინდომებდა, მოსამზადებელი სამუშაოც ჩატარდებოდა.

– როგორც ჩანს, „ოცნებასთან“ სრული კომუნიკაცია არ მოხდა. პატრიოტთა ალიანსს და ქალბატონ ირმას ვერ დავაბრალებ იმას, ეს სპეციალურად გააკეთა, მაგრამ პოლიტიკურად გაუთვლელი რომ იყო, შედეგში გამოჩნდა. კარგი იქნებოდა, ეს პროექტი, მართლა გასულიყო. სრულყოფილად მომზადებული არ იყო და ჩავარდა.

– „ოცნებას“ არ უნდა გაეთვალისწინებინა, რომ პატრიოტთა ალიანსმა ხელმოწერები შეაგროვა და ამ კანონპროექტის უკან რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი დგას. იმ ადამიანების უპატივცემულობა არ გამოვიდა, ვინც ხელი მოაწერა?

– ხელს მეც მოვაწერდი. პასუხისმგებლობა ამ პროექტზე პატრიოტთა ალიანსზეა, რომ „ოცნებასთან“ ვერ შეათანხმა და ხალხი მოტყუებული გამოვიდა. ხელისუფლებასაც უნდა ერჩია მათთვის, რომ პროექტი მოუმზადებელი იყო და ადამიანები მოტყუებული დარჩებოდნენ. უნდა განესაზღვრათ, პროექტის ჩავარდნის შემთხვევაში რა იქნებოდა, გასვლის შემთხვევაში რა ქმედებებზე იყო გათვლილი. ეს კარგი ამბავი არ არის, მაგრამ ტრაგედიაც არ არის.

– რამდენადაც ვიცი, თქვენ სასამართლოს განახლებას ემხრობით.

– კი ბატონო.

– როგორ ფიქრობთ, „ოცნებამ“ რატომ თქვა უარი, სასამართლოს განახლებაზე? ვგულისხმობ მოსამართლეთა კორპუსის განახლებას.

– დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზი კონსტიტუციასთან შეუსაბამობა იყო. ეს, ალბათ, გასათვალისწინებელი გახლდათ. თავიდან შეცდომა იქნა დაშვებული, როცა 25 წლამდე შეჩერება მოითხოვეს. 25 წლამდე დიდი ვადაა. ამაზე მმართველ ძალასა და ამ საკითხში ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფს შორის კონსენსუსი უნდა შემდგარიყო. იმ მოსამართლეებისთვისაც უნდა ერჩიათ, რომელთა მიმართაც უკმაყოფილებაა საზოგადოებაში, რომ თავიანთი კანდიდატურები განსახილველად არ შეეტანათ, რაც ყველაზე კარგი იქნებოდა. ეს არ არის კულუარული საუბრები, ჯანსაღი პროცესია.

სადავო მოსამართლეებზე სხვა გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო და არა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პროცესი გადადებულიყო 2025 წლისთვის. დემოკრატიულ ქვეყნებში მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან, რაც გამართული და მყარი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია პოლიტიკური ძალები

ასეთ დროს ხელისუფლებამ ცოტა ფრთხი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კალაძე თბილისის მერობიდან მიდის?

„ბიძინა ივანიშვილი მას სოფლის მეურნეობის მინისტრად უშვებს“

შორენა მარსაგიშვილი

რა გეგმები აქვს თბილისის მერთან დაკავშირებით „ოცნების“ ლიდერს, როგორ გადალაგდება ძალები პარლამენტში, რომელ ოპოზიციურ პარტიებთან აპირებს თანამშრომლობას ივანიშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– ძალიან სარწმუნო წყარომ მომაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კახა კალაძე თბილისის მერის პოსტის დატოვებას აპირებს. ეს ამბავი ივანიშვილს უკვე გადაწყვეტილი აქვს.

– კალაძე საკუთარი სურვილით მიდის თუ ივანიშვილის მოთხოვნით?

– ეს გადაწყვეტილება ივანიშვილმა მიიღო. კალაძე მას დაემორჩილა. ამ მორჩილებისთვის მას „ოცნების“ ლიდერმა რამდენიმეთვიანი ვადა მისცა. დარჩენილ თვეებში ის თავის საქმეებს მოაგვარებს და წავა.

– რომ არ წავიდეს? მერე რა, რომ ივანიშვილმა უთხრა, თბილისის მერი არჩევითი თანამდებობაა და ასე იოლი არ უნდა იყოს მისი გაშვება.

– ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ეს სერიოზული პრობლემა იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში. იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ერთი ადამიანის ნებასურვილით ხდება. „ოცნების“ ლიდერის ნება ასეთია – კალაძე უნდა წავიდეს და ისიც თანახმაა.

– წასვლა რომ გადაიფიქროს?

– გამორიცხულია. ამ შემთხვევაში თბილისის საკრებულო მას იმპიჩმენტს მოუწყობს. თბილისის მერი ერთადერთ შემთხვევაში შეძლებს თანამდებობაზე დარჩენას – თუ ამას მისი ლიდერი მოისურვებს.

მის ლიდერს კი თბილისის მოქმედ მერთან დაკავშირებით სხვა გეგმები აქვს. მას ერთ-ერთ სამინისტროს ჩააბარებენ.

– რომელ სამინისტროს? კალაძეს ყოველთვის უნდოდა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავება. ამაზე ორჯერ გამოთქვა მან პრეტენზია, მაგრამ ერთხელ ივანიშვილმა ამ თანამდებობაზე ღარიბაშვილი დანიშნა, მეორედ გახარია. თუ მართლა დათანხმდა მერობიდან წასვლას, შესაძლოა, ეს თანამდებობა მოითხოვოს.

– ის ივანიშვილს ვერაფერს ვერ მოსთხოვს, კალაძე წავა იქ, სადაც მას ბიძინა ივანიშვილი ეტყვის. ჩემი წყაროს ინფორმაციით, მმართველი პარტიის თავმჯდომარე აპირებს, რომ თბილისის მერს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩააბაროს.

– ხუმრობთ?

– სრული სერიოზულობით გეუბნებით. ამ მომენტისთვის ივანიშვილი ასე ფიქრობს. რამდენიმე თვეში შეიძლება გადაწყვეტილება შეცვალოს. მას გადაწყვეტილებების შეცვლა ახასიათებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება ალბათ არ შეიცვლება. კალაძის ქმედებებიდან ეს ნათლად ჩანს.

– რა ქმედებებზე საუბრობთ?

– მე გითხარით თავში, რომ თბილისის მერს წასასვლელად რამდენიმეთვიანი ვადა მისცეს. კალაძემაც დაიწყო მოსამზადებელი სამუშაო და სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდაზე ნებართვების გაცემა სწორედ ამ მიზეზით შეწყდა.

– რა კავშირშია კალაძის წასვლის სამზადისთან სამშენებლო კოეფიციენტების გაზრდა?

– კავშირშია და თან როგორ კავშირში. კახა კალაძემ სამშენებლო ბიზნესის მონოპოლიზირება მოახდინა. დღეს თბილისს რაც აცხოვრებს, ეს არის სამშენებლო ბიზნესი.

კალაძის „პაძელნიკი“ არის დეპუტატი ილია წულაია, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელია. ამ კომპანიას ჰყავს პატარ-პატარა შვილობილი კომპანიები. ამათ ხელშია თბილისში მთელი სამშენებლო ბიზნესი.

მთელი სპექტაკლი რომ დადგა მერმა, სამშენებლო კოეფიციენტებს აღარ გავზრდიო, ეს პროცესი უკვე კარგა ხანია შეჩერებულია, უბრალოდ, ახლა ივანიშვილისგან მიიღო ნებართვა და გააოფიციალურა.

ეს გადაწყვეტილება მიუთითებს იმაზე, რომ მერს და მის „პაძელნიკებს“ ჭარბსახლიანობის პრობლემა შეექმნათ.

– რას ნიშნავს ჭარბსახლიანობა აწუხებს?

– იმას, რომ თბილისში ძალიან ბევრი მშენებლობაა და იმაზე მეტი კორპუსებია აშენებული, ვიდრე მოთხოვნაა. კალაძე და მისი ხალხი ბინებს ვეღარ ყიდიან. ამიტომაც შეაჩერეს სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდა. ხალხს იძულებულს ხდიან, კალაძის და მისი „პაძელნიკების“ აშენებული ბინები იყიდონ.

თბილისის მერის მიერ მონოპოლიზირებული სამშენებლო ბიზნესი გადასულია ამოყიდვის რეჟიმზე.

არც ბინადრობის მიღებასთან დაკავშირებული კანონპროექტია შემთხვევითი. მოგეხსენებათ, რომ უცხოელი საქართველოში ბინადრობის უფლებას მიიღებს, თუ 100.000 ლარის ღირებულების ქონებას შეიძენს.

ლადო სადღობელაშვილი: „ანაკლიის პორტის აშენება საქართველოს ნატოში შესვლის ტოლფასია“

კალაძის კონტროლირებად სამშენებლო კომპანიას ირანსა და დუბაიში გახსნილი აქვთ წარმომადგენლობები და მათზე ყიდიან ბინებს.

ამოყიდის ამ ბინებს კალაძე და წავა მერობიდან. თუ არ წავა, მერე ბიძინამ იცის, რასაც გააკეთებს. ჩემი აზრით, კალაძე სოფლის მეურნეობის მინისტრობას არ უნდა დათანხმდეს.

– აბა რა უნდა ქნას, ატამანს უნდა აუხირდეს?

– მან შეიძლება პარტია შექმნას. ამაზე დიდი ხანია, მიდის საუბრები. კალაძის პარტიას ოპოზიცია კი ერქმევა, მაგრამ ივანიშვილს არ დაუპირისპირდება.

„ოცნებიდან“ ბევრი წამოვიდა, მაგრამ ივანიშვილს არავინ უპირისპირდება. ბესელიას შეხედეთ, ყველაფერში პარლამენტის თავმჯდომარეს ადანაშაულებს. სხვებიც მისკენ იშვერენ ხელს.

– ეს მართლა აშკარაა. თქვენი აზრით, კობახიძის დემონიზაცია მიდის?

– ასე გამოდის. კობახიძეს და მის ფლანგს მისცეს მაქსიმალური ძალაუფლება. ეს იმის ნიშანია, რომ ამ ადამიანებს ძალიან მალე მოისვრიან. მე ადრეც გითხარით, რომ ეს ასე იქნება და რესპუბლიკური პარტია მოგიყვანეთ მაგალითად, რომელსაც ყველაფრის უფლება მისცეს და მერე ერთიანად მოიშორეს.

ახლა კობახიძეს ასუქებენ, რათა მერე მოიშორონ. 2020 წლის პარლამენტში მას ვეღარ იხილავთ. ის ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე გახდება ან ელჩად გაუშვებენ სადმე, მაგალითად, გერმანიაში.

მომავალ პარლამენტში ვერც სოფო კილაძე და ვანო ზარდიაშვილი მოხვდებიან. ისინი ძალიან გამარგინალდნენ და მათ ბიძინა ახლოს აღარ გაიკარებს.

მამუკა მდინარაძეს და არჩილ თალაკვაძეს უფრო მეტი შანსები აქვთ მომავალ პარლამენტში მოსახვედრად და ალბათ მოხვდებიან კიდევაც.

ახლა ძალიან საინტერესო რამე მოხდა ქართულ პოლიტიკაში – მამუკა ხაზარაძის პოლიტიკური პროექტი ჩავარდა. ხაზარაძის პროექტი იყო კვირიკაშვილი და მისი ფრაქცია პარლამენტში. ამათი საერთო პროექტი იყო ბოკერიას გუნდის გამოყოფა ნაციონალებიდან.

ახლა ხაზარაძე ჩახსნილია იმიტომ, რომ ბიძინამ მისგან იგრძნო სერიოზული საფრთხე. მის გამო ჩაიხსნა კვირიკაშვილი და მისი ფრაქცია. მალე ჩაიხსნება ბოკერიას ფლანგიც.

– რას ნიშნავს ბოკერიას ფლანგი ჩაიხსნება?

– „ევროპული საქართველო“ წარმოადგენდა იმავე დროს საპარლამენტო უმცირესობასაც. ეს უმცირესობა ივანიშვილის კურთხევით შეიქმნა. ახლა ეს უმცირესობა საჭირო აღარ არის. „ოცნების“ ლიდერს ალტერნატიული უმცირესობა სჭირდება.

ეს ალტერნატიული უმცირესობა იმ ხალხისგან შეიქმნება, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ დატოვებენ.

იმისთვის, რომ საპარლამენტო უმცირესობა შეიქმნას, საჭიროა 27 კაცი. „ოცნების“ კულუარებში მითხრეს, რომ „ოცნებიდან“ შეიძლება ბევრი ადამიანის გამოყვანა ვერ მოხერხდეს. ამიტომ მოხდება ბოკერიების დაშლა. საუბარია მელიაზეც.

– მელიაზე რა საუბარი მიდის?

– შეიძლება მან ნაციონალური მოძრაობა დატოვოს.

– ძალიან მამალი ნაციონალი ჩანს და დატოვებს ვითომ?

– შეიძლება მელია დარჩეს და სხვა ვინმე წავიდეს. ალბათ დაშლის უმცირესობას ივანიშვილი. შარშან ტყუილად კი არ თქვა, ერთი წელი მაცადეთ და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევო. მგონი, ახლა სწორედ ეს პროცესი დაიწყო.

ის „ოცნებიდან“ წასულებს თავის ნებაზე მიუშვებს, პარტიებს გააკეთებინებს და 2020 წელს მათთან ერთად შექმნის კოალიციას. ამ კაცს ძალიან უნდა ხელისუფლებაში დარჩენა. სხვანაირად უკვე ხელისუფლებას ვეღარ შეინარჩუნებს.

– ხელისუფლებაში დარჩენა რაში სჭირდება?

– დავალება აქვს შესასრულებელი.

– რა დავალება?

– პუტინს გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა კავშირის აღდგენა და ცდილობს, საქართველო იქ შეათრიოს. იმისთვის, რომ საქართველო ამ ორბიტას დაუბრუნდეს, აქ ანაკლიის პორტი არ უნდა აშენდეს.

ანაკლიის პორტის აშენება საქართველოს ნატოში შესვლის ტოლფასი იქნება. მოსკოვი ამას არ დაუშვებს. ივანიშვილის ხელისუფლებამ ეს პროექტი კრემლის მოთხოვნით გააჩერა.

სხვა ხელისუფლება თუ მოვა, ეს პროექტი გაგრძელდება. ამიტომ ივანიშვილმა რამდენიმე წელი კიდევ უნდა გაქაჩოს ქვეყნის სათავეში ყოფნა, რათა რუსეთმა საბჭოთა კავშირის ფორმირება მოასწროს.

დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტში შესვლის შესაძლებლობას მისცემენ ისეთ ანგარიშგასაწევ ხალხს, როგორებიც არიან ბურჯანაძე და უსუფაშვილი. ისინი აქტიურ პოლიტიკაში ყოფნას იმსახურებენ.

ივანიშვილი მათთანაც ითანამშრომლებს. მისთვის ახლა მთავარია ხელისუფლებაში დარჩენა, მაგრამ ეს ძალადობით არ უნდა გააკეთოს. მას დასავლეთი არჩევნების გაყალბებას აღარ აპატიებს.

– თუ მაინც გააყალბა?

– მაშინ ხალხი „ოცნებას“ ნაციონალებთან ერთად პოლიტიკურ სანაგვეზე გაუშვებს. მოსახლეობას ისედაც ყელში ჰყავს ამოსული ეს ორი ძალა და ქუჩაში შეიძლება ნებისმიერი საბაბით გამოვიდეს.

სულ ახლახან მოხდა სომხეთში პაშინიანის ხავერდოვანი გადატრიალება. ჩვენთანაც იგივე მოხდება.

– ქართველი პაშინიანი რომ არ ჩანს?

– თავიდან არც სომხეთში ჩანდა, მაგრამ გამოჩნდა. აქაც ასე იქნება.

რატომ ცდილობს „ოცნება“, სააკაშვილის შერჩეული ყველა მოსამართლე უვადოდ დანიშნოს?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლად უნდა იმოქმედოს. ჩვენ რომ ვიყოთ აშშ და მსგავსი ქვეყნები, სადაც გამართული სისტემებია, მაშინ შეიძლებოდა ამ საკითხის ყოველგვარი შეფერხების გარეშე განხილვა და გატანა.

– მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია მოსამართლე კადრების შერჩევა. თუ უზენაეს სასამართლოს არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, მთელი მოსამართლეთა კორპუსი სააკაშვილის შერჩეული კადრებითაა დაკომპლექტებული. სააკაშვილმა ასეთი უნიკალური მოსამართლეების შერჩევა თუ იცოდა, სასამართლოში პრობლემები რატომ გაჩნდა? გასაკვირია, რატომ ცდილობს „ოცნება“, სააკაშვილის შერჩეული უკლებლივ ყველა მოსამართლე უვადოდ დანიშნოს?

– სააკაშვილის დანიშნული იქნება, შევარდნაძის თუ სხვა პირის, მოსამართლეს დანაშაული თუ არ აქვს ჩადენილი, ან საეჭვო რეპუტაციის არ არის, როგორც ახლა საუბარია პარლამენტში გამოგზავნილ სიაში ჩამოთვლილ კანდიდატებზე, მაშინ მნიშვნელობა არ აქვს, ვის მიერაა დანიშნული ან არჩეული.

– სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან აშკარა დანაშაულებრივ კავშირში მყოფი მოსამართლეები სისტემიდან ხომ უნდა გაეყვანათ?

– აქ უფრო მორალური მხარეა. მორალურ მხარეში ვერაფერს შეედავები. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, სხვა საკითხია, მაგრამ მორალური მხარეც უნდა იყოს გათვალისწინებული.

– არამარტო მორალურ მხარეზეა საუბარი. სტრასბურის სასამართლოს უარყოფითი გადაწყვეტილებები არსებობს არა ერთი მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენებზე. ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ კონკრეტული მოსამართლეები სასამართლო ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებელია?

– ამაში გეთანხმებით, მაგრამ მათი გადაწყვეტილება რამდენად ჯდება სამართლებრივ ჩარჩოებში, არ ვიცი. ამა თუ იმ მოსამართლის გადაცდომაზე სტრასბურის სასამართლოს მხრიდან თავისთავად უნდა იყოს რეკომენდაცია ხელისუფლების მიმართ, რომ ამა თუ იმ მოსამართლემ პასუხი უნდა აგოს. ეს იქნება მაჩვენებელი იმისა, რომ ევროსასამართლო მოქმედებს. არავის უთქვამს, ჩინჩალაძე დამნაშავეაო. თუ დადასტურდება ჩინჩალაძის დამნაშავეობა, სასამართლო ხელისუფლებას აუცილებლად უნდა ჩამოშორდეს.

– გააჩნია, ვის არ უთქვამს, ჩინჩალაძე თუ სხვა, დამნაშავეა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ყველაფრის გათეთრება უნდა, რაც სასამართლოში ხდებოდა. ამბობს, იყვნენ ცუდი მოსამართლეები და გახდნენ კარგი მოსამართლეებიო. ეს რას ნიშნავს?

– კობახიძეს ცოტა ლაფსუსი მოუვიდა. აქ სამართლებრივ მხარეზე კი არა, მორალურ-ზნეობრივ მხარეზეა საუბარი. ხომ არ უთქვამს, დამნაშავეები იყვნენ და ახლა აღარ არიან დამნაშავეებიო.

– თქვა, მასობრივად ჩადიოდნენ ცუდ რამეებსო. ჯერ ერთი, ამ მოსამართლეებს საზოგადოების მხრიდან მაღალი სანდოობა არ აქვთ.

– სანდოობა ეს არის ემოცია და ამ კანდიდატურებთან სამართლებრივად შეხებაში არ არის.

– სამართლებრივად შეხებაში როგორ არ არის? თუ სამართლებრივ მხარეს არ დაინახავ, არც არასდროს იქნება.

– სამართლებრივი მხარე სამართალდამცავმა სტრუქტურამ უნდა დაინახოს და თუ დანაშაულია ჩადენილი, რეაგირება უნდა მოახდინოს. კი არ ვამბობ, თვალი დავხუჭოთ. საფუძველი თუ არსებობს, რეაგირებაც უნდა მოხდეს.

– რატომღაც „ოცნების“ ერთი ჯგუფი იცავს მურუსიძეებს, ჩინჩალაძეებს, გვრიტიშვილებსა და სხვებს, რომელთა მიმართ პრეტენზიები არსებობს და საზოგადოებას მიაჩნია, რომ სასამართლო ხელისუფლებიდან ჩამოსაცილებელი არიან.

– საზოგადოება ამ საკითხებზე მსჯელობს და არა სოციალურ თემებზე. ეს იმას ნიშნავს, ქართული საზოგადოება და მთლიანად ქვეყანა სიმწიფის რაღაც ეტაპზეა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, არ მახსოვს, საზოგადოება სოციალური თემებით ქუჩაში გამოსულიყო.

ხაზარაძე-ჯაფარიძის მოსმენა ივანიშვილის დავალებით ჩაგდეს

26 თებერვალს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე დაგეგმილი იყო „თიბისის“ საქმეზე ამავე ბანკის აქციონერების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მოსმენა. ასევე დაიბარეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც, რომელიც ჯერ მისვლას არ გეგმავდა, მაგრამ საბოლოოდ მივიდა. მან კომიტეტის სხდომის დახურვა მოითხოვა, ოპოზიცია წინააღმდეგი იყო. დიდი აურზაურის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ დარბაზი დატოვა და სხდომა ჩაიშალა. მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ სხდომის დახურვას კაკულიასგან პირადად ბიძინა ივანიშვილი ითხოვდა.

რა მოხდა პარლამენტში და ხომ არ წავიდა რომან კაკულია თავისი ნების წინააღმდეგ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს:

სოსო ცინცაძე: „კაკულია გულწრფელად შემეცოდა... ამ სხდომამდე რეპუტაციულად დეპუტატების სამეულში შევიყვანდი, დღეს – აღარ“

სოსო ცინცაძე:

– მე შემიძლია შევაფასო მხოლოდ კლასიკური პოლიტტექნოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით ის ინციდენტი, რაც პარლამენტში მოხდა. ვფიქრობ, რომ მმართველმა პარტიამ სერიოზული შეცდომა დაუშვა. როგორც ჩანს, ბოლომდე არ გათვალეს, რა დარჩებოდა მშრალი ნარჩენის სახით. ბოლომდე არ გათვალეს ამ გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგები. ამ გადაწყვეტილებას თან ახლდა სერიოზული მინუსები, ვიდრე ვთქვათ, ერთი პლუსი, ის რომ საზოგადოებამ ვერ გაიგო, რა ხდება რეალურად. თუმცა, ესეც უარესი შედეგის მომტანია.

მაშინ როდესაც პარლამენტის, მთავრობის, თუ გნებავთ ეროვნული ბანკის მიმართ – ჩვენი ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ნდობა ძალზედ დაბალია, ყველა ასეთი მიჩუმათებული საქმე უფრო მეტ უარყოფით ემოციებს იწვევს.

– ანუ ამ გადაწყვეტილებამ კითხვებზე პასუხების გაცემის ნაცვლად უფრო მეტი კითხვები გააჩინა?

– რასაკვირველია. მათ თქვეს, ეს ზიანს მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ფინანსურ სისტემასო. თვითონ ამ ფაქტმა, რომ პარლამენტში მიიწვიეს ხალხი და შემდეგ ისინი არ აღაპარაკეს 21-ე საუკუნეში. ეს ხდება ქვეყანაში, რომელსაც ყველა ბანერზე აწერია ევროპა და ევროპული ღირებულებები, ის ასეთ დროს ასეთ კაზუსს უშვებს.

– 1 წლის წინ გატარდა საკონსტიტუციო ცვლილებები, გადავედით საპარლამენტო მმართველობაზე და სწორედ პარლამენტის ვალდებულებაა სხვადასხვა ინსტიტუციების კონტროლი. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანომ უარი ხომ არ თქვა თავისივე ვალდებულების შესრულებაზე?

– რასაკვირველია. გარდა ამისა, ის დაბალი ნდობა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, არა მხოლოდ ამ მოწვევის პარლამენტისადმი, არამედ პარლამენტიზმისადმი, როგორც ინსტიტუტისადმი, გუშინ კიდევ უფრო დაბალ ნიშნულამდე დავიდა. ჩვენ ვხედავდით, რომ როგორც იტყვიან, მაისურით იწმენდდა ოფლს კომიტეტის თავმჯდომარე და სასოწარკვეთილი იძახდა, როგორ დავხურო კომიტეტის სხდომაო. სახეზე ეწერა ის, რომ რასაც ის აკეთებდა, ეს არ იყო მისი შინაგანი რწმენა.

– სხვათა შორის, აღიარა მან, რომ სამარცხვინო სხდომა იყო და ბოდიშიც მოუხადა ხაზარაძესა და ჯაფარიძეს.

– რასაკვირველია. ბოდიშის მოხდა კარგია, მაგრამ სარეპუტაციო დანაკარგს ვერც ერთი ბოდიში ვერ აანაზღაურებს, ეს გამორიცხულია.

– ისიც ხომ არ გამოჩნდა, რომ რომან კაკულია გამოუვალ მდგომარეობაში იყო? ჯერ არ აპირებდა კობა გვენეტაძე მისვლას, შემდეგ გადაწყვიტა. ასეთი ინფორმაციაც გამოვიდა მედიით, რომ შეხვედრა, რომელიც ივანიშვილის რეზიდენციაში გაიმართა, მას პირდაპირ სთხოვდნენ, რომ სხდომა არ ჩაეტარებინა. ეს ხომ არ დადასტურდა?

– როგორც ამბობენ, გვენეტაძე კარგი პროფესიონალია, მაგრამ პიროვნულად სუსტი ადამიანია.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ყავის ნალექზე ვიმკითხავოთ და ვივარაუდოთ. ფაქტია, ჩვენი დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, ვინ და სად ღებულობს გადაწყვეტილებებს. ეს ჩვენ რეალურად ვიცით და ამაში 2 აზრი არ არსებობს. ეს იყო მცდარი გადაწყვეტილება. აქ უკვე დგება სერიოზული საკითხი – მრჩევლების პრობლემა.

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ივანიშვილი კატასტროფულად არასასურველ მდგომარეობაში ჩააყენეს მრჩევლებმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინ, როდესაც დაუდეს მონაცემები, რომ 53%-ით იმარჯვებს ჩვენი კანდიდატიო. ეს იყო არაკვალიფიციური რჩევების შედეგი. ამან გამოავლინა ერთი რამე – უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერი, პარტიის თავმჯდომარე თუ სხვა, ეს მრჩევლების ინსტიტუტი ჯერ კიდევ არ არსებობს ჩვენთან.

მე ამაზე საუბრის მორალური უფლება მაქვს, ვინაიდან მე მქონდა ბედნიერება, უფრო სწორად უბედურება, 3 პრეზიდენტის მრჩეველი ვყოფილიყავი და მე თვითონ ვიცი, რა მძიმე შშობიარობა აქვს ჩვენთან ამ ინსტიტუტს. შეიძლება ითქვას, რომ ეს მშობიარობა წარუმატებლად დამთავრდა და ნაყოფი დაიბადა მკვდარი. ჩვენთან მრჩევლები არ არსებობენ, ვინაიდან ნოლია მრჩევლის ფასი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჯერ ერთი, კვალიფიკაცია არ აქვთ. გარდა ამისა, ჩვენი ხელმძღვანელები არ არიან მიჩვეული დაუჯერონ მრჩევლებს. აქ უფრო მრჩევლები ჰყავთ იმისათვის, რომ თავიანთი გადაწყვეტილება ვიღაცამ მოუწონოს. მაგრამ თუ მის შინაგან გადაწყვეტილებას მრჩეველი არ ეთანხმება და პროფესიონალი მრჩეველი ხშირად არ ეთანხმება დამქირავებლის გადაწყვეტილებას, ასეთი მრჩევლები არავის არ უნდა.

ივანიშვილს, როგორც ჩანს, ვიღაცამ ურჩია, რომ არ შეიძლება იქ მოხდეს საჯარო განხილვა, არ შეიძლება მილიონმა ადამიანმა უსმინოს ხაზარაძეს და ჯაფარიძეს, რადგან ეს ჩვენ ზიანს მოგვიტანსო. მაგრამ ვერავინ ვერ ურჩია, რომ ჩვენ თუ ის ადამიანები არ ავალაპარაკეთ და არ ვუსმინეთ, კონტრარგუმენტებით თუ არ შევეკამათეთ, ეს მილიონობით ადამიანი უფრო შორს წავაო.

– არავინ ურჩია, რომ ეროვნულ ბანკს თავისი არგუმენტები უნდა ეთქვა, რა მოტივაციითაც ეს გადაწყვეტილება მიიღო?

– ეს ისეთი სპეციფიკური თემაა ფინანსები, რომ პირდაპირ ვთქვათ, მაყურებლის 99% ვერ გაერკვეოდა იმაში, ვინ მართალი იყო და ვინ მტყუანი, რადგან ეს საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნას. როდესაც ეს არ დაუშვეს, აქ უალტერნატივოდ დარჩა ოპოზიციის თეზა, რომ ეს არის ხელისუფლების და პირადად ივანიშვილის პირადი შურისძიება ამ ბანკის მიმართ.

– პოლიტიკური შეფასების მხრივ შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციამ დაამარცხა ხელისუფლება?

– რასაკვირველია. მორალით, შედეგით და რეპუტაციით ასეა. ეს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში რეპუტაციის მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებს. როგორი რეპუტაციით სარგებლობს პიროვნება, პარტია, ინსტიტუცია... ჩვენი ინსტიტუტები ამას ხშირად აბიჯებენ ფეხს. ელემენტარულად ავიღოთ, ეს თეორია სარეპუტაციო დანაკარგების თეორიაზე ჯერ კიდევ 100 წლის წინ ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი ვებერსი წერდა, ამან თავი იჩინა.

თუნდაც ეკლესია ავიღოთ, ვინ იფიქრებდა, რომ ეკლესიის რეპუტაციას შეეძლო რაღაც დანაკარგი განეცადა. ციანიდის საქმის შემდეგ ეკლესიის რეპუტაცია იმაზე გაცილებით დაბალია, ვიდრე ის მანამდე იყო. იმიტომ, რომ უპასუხო კითხვები დარჩა. რატომ დაიხურა სასამართლო პროცესი მაშინ, როცა ბრალდებული ითხოვდა ღია ყოფილიყო. ბრალდებამ დამაჯერებლად ვერ დაასაბუთა – კაცმა ვერ გაიგო, სად იშოვა ბრალდებულმა მამალაძემ ციანიდი. ამერიკაში მკვლელს არასოდეს გაასამართლებენ ისე, თუ იქ ძიებამ მკვლელობის იარაღიც არ დადო. ასეთი ფაქტები ჩვენთან ხშირად მეორდება.

პარლამენტში მომხდარი ინციდენტი ასევე იყო ძალიან სერიოზული შეცდომა.

– შეცდომა თუ გადაცდომა?

– შეცდომა. სწორედ ასეთ შეცდომაზე ამბობდა ტალეირანი, რომ ეს დანაშაულზე უარესიაო. ვინ ურჩია ეს ივანიშვილს, თუ მან მიიღო ეს გადაწყვეტილება? წინა დღეს მასთან იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეტყობათ მრჩევლობის პრეტენზიებიც აქვთ. მხედველობაში მხოლოდ პარლამენტარები და ოფიციალური ფუნქციონირები არ მაქვს. სხვა ადამიანებიც იყვნენ და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათაც დაჯერეს ივანიშვილი.

– ვინ გყავთ მხედველობაში?

– არ გვინდა გვარები. ნუ გაქვთ ჟურნალისტებს ეს ჩვევა, რომ მაინცდამაინც რესპონდენტს ათქმევინოთ ის, რაც ყველამ იცის ამ ქვეყანაში.

– ისაუბრეთ პასუხგაუცემელ კითხვებზე. ამით საფუძველი ხომ არ მიეცა იმ აზრს, რომ ეს არის ივანიშვილის შეტევა მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ?

– ამ მცდარი გადაწყვეტილებით, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, საკუთარ თავს დათვური სამსახური გაუწიეს. ბევრი ვერ ერკვევა საბანკო ტერმინებში. მაგალითად, რა არის ტრანზაქცია, 17 მილიონი გამოიტანა, მერე უკან შეიტანა... სად არის აქ დანაშაული, ვერავინ გეტყვით. პარლამენტში კომიტეტის სხდომაზე იყო საშუალება, რომ ეროვნულ ბანკს, საფინანსო კომიტეტს – კოვზანაძე რომ გვიზის პარლამენტში, ოპონირება გაეწიათ ხაზარაძე-ჯაფარიძისთვის. მცდელობა მაინც ყოფილიყო, რომ საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ პოლიტიკის მიღმაა ეს და ფინანსური დანაშაულია ეს.

ჭეშმარიტება იბადება კამათში. კომიტეტის სხდომაზე კამათი აიკრძალა, ვეტო დაედო კამათს, ესე იგი ჭეშმარიტებას დაედო ვეტო. ხაზარაძე კი არ გააჩუმეს, ჭეშმარიტება გააჩუმეს. რისთვისაც არსებობს პარლამენტი. როცა მსოფლიოში მთავარ სალაპარაკო ადგილას, პარლამენტში როცა ლაპარაკს კრძალავ, ამას რა უნდა დავარქვათ?!

– რომან კაკულია თავისი ნების წინააღმდეგ ხომ არ წავიდა? ეს დეპუტატი იმ იშვიათთაგანია, რომელიც გამოირჩევა განსხვავებული აზრის ღიად გამოხატვით. ხომ არ ჩანდა, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება?

– სიმართლე გითხრათ, არც მცივა და არც მცხელა იმის გამო, რა ელით ხაზარაძეს და ჯაფარიძეს. მსოფლიოში ბანკირებისადმი მოწიწება ძალიან დაბალია, მაგრამ როცა ვუყურებდი კაკულიას, ერთადერთი ჩემი ემოცია იყო, რომ ეს ადამიანი გულწრფელად შემეცოდა. გეთანხმებით იმაში, რომ ამ ადამიანს კარგი რეპუტაცია ჰქონდა, რაც ჩვენს პარლამენტში იშვიათია. თითებზე ჩამოსათვლელია დეპუტატები ჩვენს პარლამენტში, რომლებიც რაღაც რეპუტაციით სარგებლობდნენ. ერთ-ერთი პირველი სწორედ კაკულია. ამ სხდომამდე პირველ სამეულში შევიყვანდი კაკულიას, დღეს უკვე აღარ. მით უმეტეს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარეა, რომელიც მუდამ ზეწოლას განიცდის. ამის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა ღირსების შენარჩუნებას.

როცა ვუყურებდი, ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა. ალბათ მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძიმე დღე იყო მისთვის. ეს მუდამ გაწონასწორებული ადამიანი ხელებგაშლილი, სასოწარკვეთილი ეკითხებოდა არჩილ თალაკვაძეს, როგორ დავხურო კომიტეტის სხდომაო. ამით ყველაფერი ითქვა. სამწუხაროა, რომ გადაწყვეტილების მიმღებნი ასეთ მცდარ გადაწყვეტილებებს ღებულობენ. ეს იყო მცდარი გადაწყვეტილებების ლუსტრაცია.

ჩემთვის უფრო გასაგები იქნებოდა, სხდომა დაეხურათ. ეთქვათ, რომ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ისეთ საკითხებზე, რომლის გასაჯაროება შეიძლება, ვინაიდან მტერიც გვისმენს და მოყვარეცო, ქსენია დიასახლისიც გვისმენს, ბოგანოც გვისმენს, ამიტომ კომიტეტის სხდომა დავხურეთო. ეს მიღებულია. სასამართლო სხდომები იხურება და კომიტეტის სხდომა რომ დახურულიყო, რა მოხდებოდა?! მაგრამ არა ის, რომ სხდომა შეწყვეტილიყო! ეს წარმოუდგენელი რამე იყო. ეს დაახლოებით იცით რა იყო? ქორწილში დაპატიჟოთ ხალხი და გაშლილ სუფრას რომ დახედავენ, თქვათ, რომ სუფრასთან თქვენ ვერ დასხდებით, წახვალთ მშივრებიო.

26 თებერვლის კომიტეტის სხდომის შემდეგ უდიდესი რეპუტაციული მარცხი განიცადა პარლამენტის ინსტიტუტმა. შეიძლება თიბისი ბანკი მართლა არ დაზარალდა ისე, რომ კატასტროფამდე მივიდეს. წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება პირადი შურისძიება იყო. ჩამოაშორეს ხაზარაძე-ჯაფარიძე და ვთქვათ, ბანკს ხელს არ ახლებენ, მაგრამ ეს პარლამენტმა მიიღო უდიდესი რეპუტაციული დანაკლისი, რისი აღდგენაც უკვე შეუძლებელია. სამწუხაროდ, ასეთ ახსნებს და დასკვნებს ვერ ვისმენ ჩვენს თოქ-შოუებში. ვისმენ მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარულ პოლიტიკურ პროპაგანდას.

ეკა ბესელია ირაკლი კობახიძეს იმპიჩმენტით დაემუქრა

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიციაში გადაბარგებული ეკა ბესელია ყველა უბედურების სათავედ ირაკლი კობახიძეს მიიჩნევს და მისი იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას არ გამორიცხავს. ბესელიას ინიციატივას დეპუტატებში დიდი ჟივილ-ხივილი მოჰყვა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა მელია ამბობს, რომ ისინი კობახიძის იმპიჩმენტს მხარს დაუჭერენ.

– ყველა იმ პროცესს, რომელიც დააჩქარებს ბიძინა ივანიშვილის ამ ოლიგარქიული მექანიზმის მორღვევას, ჩვენ მხარს დავუჭერთ. კობახიძე არის ერთ-ერთი მსხვილი ჭანჭიკი ბიძინა ივანიშვილის მექანიზმში. ამ ინიციატივისთვის მხარის არდაჭერა არ იქნებოდა სწორი. მაგრამ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კობახიძეზე, მიუხედავად იმისა, რომ ის არის პარლამენტის თავმჯდომარე, ვგულისხმობთ ბიძინა ივანიშვილს. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ვერ იქნებოდა იქ, სადაც არის. ქალბატონი ბესელია რას გულისხმობს, როდესაც საუბრობს ბატონ კობახიძეზე? გულისხმობს ბატონ ივანიშვილს? თუმცა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ იქნება სწორი, რომ ოპოზიციამ არ დაუჭიროს მხარი ერთი, თუნდაც მსხვილი ჭანჭიკის მოშორებას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

იმპიჩმენტის იდეას მხარს უჭერს დავით ჭიჭინაძეც. მისი თქმით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე თანამდებობიდან გასაშვებია.

– კობახიძე გასაშვებია პოლიტიკიდან, ადგილიც კი მივუჩინე, მადამ ტუსოს მუზეუმში. კარგია, რომ ჩემი კოლეგებიც მეთანხმებიან ამაში. ის უნდა წავიდეს პარლამენტიდან და პოლიტიკიდან, რადგან „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეცემა, რაც ცუდია, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ჯერ კიდევ უმრავლესობის წევრის, ნუკრი ქანთარიას თქმით კი, პარლამენტის თავმჯდომარის შეცვლის საკითხი დღის წესრიგში ეკა ბესელიას გახმოვანებით ვერ დადგება.

– იმპიჩმენტი, ეს ის საკითხია, რაც პარტიის პოლიტსაბჭოს ვიწრო ჯგუფში უნდა გადაწყდეს და მერე უმრავლესობაში შეთანხმდეს. ჩვენ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ – მას აქვს რაღაც თვისებები, მაგრამ ადამიანებთან კომუნიკაცია და ურთიერთობები უჭირს, რაც ამ ხნის განმავლობაში გამოჩნდა. არსებობს ცვლილებების მოლოდინი, რაც საჭიროა, – აღნიშნა ქანთარიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ კობახიძე იმსახურებს იმ თანამდებობას, რომელზეც ზის.

– არანაირი იმპიჩმენტი არ არის ინიცირებული. ირაკლი კობახიძე, როგორც განათლებული, შრომისმოყვარე და გამოცდილი პოლიტიკოსი, სამართლიანად იკავებს პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას და იმპიჩმენტის მხარდაჭერას არ ვაპირებთ. ის ახლა საერთაშორისო მივლინებაშია და ამ საკითხზე დისკუსიაც კი არასწორად მიმაჩნია, – უთხრა ჟურნალისტებს თალაკვაძემ.

რატომ ითვლება სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი აზერბაიჯანში რთულად?

მარიამ მჭედლიშვილი

27 და 28 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თავის პირველ რეგიონულ ოფიციალურ ვიზიტს მეზობელ აზერბაიჯანში მართავს. აზერბაიჯანში ჩასვლამდე ითქვა, რომ ეს რთული ვიზიტი იქნება.

ცოტა ხნის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სტრატეგიული პარტნიორების, საქართველოსა და აზერბაიჯანის, ლიდერებისა და ოფიციალური პირების ერთმანეთთან შეხვედრები შეიძლებოდა დაძაბულ ვითარებაში წარმართულიყო. არსებობდა სადავო სასაზღვრო საკითხები და მეზობელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველების პრობლემები, მაგრამ ისინი სახელმწიფოების ურთიერთობას არ აფუჭებდა.

ამჟამად უარესი მდგომარეობაა. გართულება გამოიწვია არა ყარაბაღის გმირი აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მებრძოლის ბიუსტის დადგმამ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ, ზოგადად ურთიერთობების გაცივებამ. აზერბაიჯანული მედიის თანახმად, ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ერთი განცხადების შემდეგ.

როგორც ჩანს, გიორგი ქობულიას გამონათქვამები ამა თუ იმ საკითხზე თავზარს სცემს არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას, არამედ, დარტყმას აყენებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკასაც.

ბაქოში მტკივნეულად აღიქვეს ეკონომიკის მინისტრ ქობულიას განცხადება იმაზე, რომ თბილისი მართავს მოლაპარაკებებს მოსკოვთან რუსული გაზის შესყიდვაზე ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით.

აზერბაიჯანი საქართველოში გაზის ერთადერთი მომწოდებელია და მას არ უნდა, ეს ნიშა ვინმეს გაუყოს. მეზობელ ქვეყანაში ალაპარაკდნენ იმაზე, რომ თბილისმა დაიწყო ბაქოსთან ურთიერთობების გადასინჯვა.

გაირკვა, რომ ბაქოში სხვა მოლოდინიც არსებობდა. აზერბაიჯანის ოფიციალურ და საექსპერტო წრეებს ეგონათ, რომ სალომე ზურაბიშვილი თავის პირველ ოფიციალურ ვიზიტს მოაწყობდა აზერბაიჯანში, რომელთანაც საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა აქვს.

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ცნობილია, ჯერ ევროპას სტუმრობდა. მისი ევროპული ტურნე წარმატებული და იოლი იყო. ამასობაში, მეზობელთან ურთიერთობა უფრო გაცივდა.

ვიზიტის პროგრამაში შეტანილია შეხვედრები აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებთან. სალომე ზურაბიშვილი ევროპაში მყოფ ქართველ ახალგაზრდებს საქართველოში საზაფხულო ბანაკებში დასვენებას შეჰპირდა. შესაძლოა, ეს შეთავაზება აზერბაიჯანულმა ქართულმა დიასპორამაც მიიღოს.

მოლაპარაკებებში, ალბათ, ყველაზე რთული ენერგოსაკითხებზე ეკონომიკის მინისტრის განცხადებების განმარტება იქნება.

ოფიციალურად, საქართველო და აზერბაიჯანი ორმხრივი ურთიერთობის გარდა, მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებშიც თანამშრომლობენ. 4 მარტს გაიმართება აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქმენეთისა და თურქეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელების შეხვედრა სატრანსპორტო-სავაჭრო მარშრუტებზე. ისინი მოიცავს საზღვაო და სახმელეთო გზებს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში.

მიუხედავად განსხვავებებისა, საქართველო და აზერბაიჯანი ისევ მოიაზრებიან ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრ სახელმწიფოებად.

ვიზიტის წინ გამოქვეყნებული ინდექსის თანახმად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიული რეფორმებისა და ევროინტეგრაციის მხრივ საქართველო და უკრაინა ლიდერობენ.

ევროკავშირთან დაახლოების კრიტერიუმით, უკრაინას სომხეთი და მოლდოვა მოჰყვებიან, საქართველო კი მეოთხე ადგილზეა. აზერბაიჯანი ლიდერობს მდგრადი განვითარების მიმართულებით.

რა განსხვავებებიც არ უნდა იყოს ქვეყნებს შორის, საქართველოსთვის აუცილებელია საერთო ენის გამონახვა კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან.

გიორგი ახვლედიანი: „ეკა ბესელია ივანიშვილის ახალი პროექტი შეიძლება იყოს“

ნონა ცაბაძე

20 ოპოზიციური პარტია მილიონი ხელმოწერის შეგროვებას იწყებს და საარჩევნო სისტემის შეცვლას ითხოვს. მაჟორიტარული სისტემიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლა – ესაა მათი ძირითადი მოთხოვნა.

მოესწრება თუ არა არჩევნებამდე ეს ყველაფერი, ხომ არ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები, რა პროცესები მიდის მმართველ გუნდში? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

– ბატონო გიორგი, ოპოზიციური პარტიები მილიონი ხელმოწერის შეგროვებას იწყებთ საარჩევნო სისტემის შესაცვლელად. ამ სიტუაციაში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია, რამდენად გაქვთ უკეთესობისკენ შეცვლის იმედი?

– ეს პროცესი, რომელიც ახლა იწყება, არის უპრეცედენტო მასშტაბის. საქართველოში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კონკრეტული იდეის გარშემო მილიონი ადამიანის სოლიდირება მომხდარიყო.

– ხელმოწერები არაერთხელ შეგროვებულა, მაგრამ უშედეგოდ.

– 200 ათასი ბევრჯერ შეგროვილა, 200 ათასი ხელმოწერით დღეს ვეღარავის გააკვირვებ, მაგრამ 200 ათასიც სოლიდური რიცხვია, ეს არის ჩვენი ამომრჩევლის სოლიდური ნაწილის ნება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, ეს ცვლილება განახორციელოს. თუმცა, მორალურად, პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად, ხელისუფლება ვალდებულია, რომ ესა თუ ის ცვლილება განახორციელოს, როდესაც ამას ამდენი ადამიანი ითხოვს.

თუ სადღაც არ დაამთავრა ხელისუფლებამ საზოგადოების წინააღმდეგ სვლა, ძალიან მძიმე შედეგებით დასრულდება მისი ხელისუფლება.

ისინი ნაკლებად მადარდებს, მე ის მადარდებს, რომ მათი დამარცხებით, ამ ეტაპზე, აი ამ წუთას, ორპოლუსიან ვითარებაში როგორშიც ვართ, ნაციონალურ მოძრაობას ვუბრუნებთ ქვეყანას. ეს არის ყველაზე მეტად მიუღებელი ჩემთვის.

– რამდენად მოესწრება დროში ეს ცვლილებები, როდესაც აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს?

– ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით ყოველთვის აქტიურდება საუბარი მაშინ, როდესაც რაღაცა არეულობა იწყება, ხელისუფლებას ვიღაცები დატოვებენ, აი დაიშლება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

არც ეგ არის ტრაგედია, „ქართული ოცნება“ თუ დაიშლება. 2002 წელი იყო, როდესაც მოქალაქეთა კავშირი დაიშალა, როგორც პარტია, გაქრა. 2002 წლის პარლამენტში უმრავლესობა საერთოდ არ იყო. ანუ უმრავლესობის გარეშეც იარსება პარლამენტმა და მიაღწია 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

ის არცთუ ისე ცუდი იყო ქართული პოლიტიკური რეალობისთვის. მართალია, ამ ყველაფერს დიდი მარაზმი, ვარდების რევოლუციის სახით, მოყვა, მაგრამ მანამდე, 2003 წლის ნოემბრის პარლამენტში შევიდა 7 პოლიტიკური სუბიექტი. ანუ მოსახლეობა მიდიოდა არჩევნებში, ხმას აძლევდა არა ვიღაცის სიძულვილით, არამედ, რომელი პოლიტიკური პარტიაც მოსწონდა, იმას აძლევდა ხმას.

– რატომ ავლებთ ამ პარალელს, შესაძლოა, ახლაც იგივე მოცემულობა მივიღოთ?

– თუ „ქართული ოცნება“ ასეთი ტემპებით განაგრძობს დაშლას, არ არის გამორიცხული, რომ მივიღოთ ასეთი მოცემულობა. ეს მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებას შეუწყობს ხელს, როდესაც არ იქნება ქვეყანაში მარტო ორი პოლუსი, ნაცების და ქოცების და მთელ საზოგადოებას აღარ ექნება იძულება იმისა, რომ თუ ნაცებს ვერ იტან, ქოცებს მიეცი ხმა ან პირიქით.

– თუკი ვადამდელი არჩევნები დაინიშნა, შესაძლებელია ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნება?

– ვადამდელი არჩევნები ალბათ არ დაინიშნება. ვადამდელი არჩევნები ამ ეტაპზე ოპოზიციის ინტერესში არანაირად არ არის. მე ნამდვილად არ მივესალმები ოპოზიციის მხრიდან ვადამდელი არჩევნების ფორსირებას.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვადამდელი არჩევნები თუ ჩატარდა, ის ჩატარდება შერეული მაჟორიტარული სისტემით, რომელიც დღეს გვაქვს. ეს სისტემა დღეს ყველანაირად ხელისუფლების გადარჩენის საშუალებაა.

მაჟორიტარების ხარჯზე ხელისუფლება უფრო იგებს, ვიდრე ოპოზიცია. იმიტომ, რომ ხელისუფლების რესურსი მაჟორიტარების მოგებას ჰყოფნის.

2016 წელს 48% აიღო ხელისუფლებამ, მეტი კი არა, მაგრამ მაჟორიტარები რომ მოიგო 73-ვე, მაგიტომაც ჰქონდა საკონსტიტუციო უმრავლესობა გუშინდლამდე. საზოგადოებრივი მხარდაჭერა აღარ არის უკვე საჭირო იმისთვის, რომ უმრავლესობაში მოხვიდე. საკმარისია ოქრიაშვილისნაირი ბიზნესმენები, რომლებიც იყიდიან თავიანთ მაჟორიტარულ ოლქებს და მოიგებენ. ამისთვის სულაც არ არის საჭირო დიდი რაოდენობის ხმები, საკმარისია, 30% აიღო არჩევნებში.

ამიტომ ვადამდელი არჩევნები კი არა, ახლა ჩვენი მოთხოვნა კატეგორიულად უნდა იყოს სწორედ საარჩევნო სისტემის ცვლილება, რათა უკვე შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე ახალი სისტემით ჩავატაროთ არჩევნები.

– რას იტყვით იმაზე, რაც ხელისუფლების შიგნით ხდება? ყოველდღე თითო დეპუტატი ტოვებს უმრავლესობას. რა ხდება, რა პროცესი დაიწყო?

– სწორედ ის პროცესი გრძელდება, რაზეც ვლაპარაკობდი ჯერ კიდევ შარშან, რომ ძველების და ახლების გუნდები ვერ შეესისხლხორცება ერთმანეთს და აუცილებლად მოხდება ეს დაყოფა. ეს იმდენად რეალური მოცემულობა იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომ აქ არა მხოლოდ ახალგაზრდები და ძველგაზრდებია პრობლემა, აქ იდეოლოგიური შეუთავსებლობაა პრობლემა.

მარტო ის კი არ არის, რომ ძალაუფლება ერთმა გუნდმა ჩაიგდო ხელში და მეორეს აღარ აძლევს არაფერს, უბრალოდ, ამ ადამიანებს შეუძლებლად მიაჩნიათ, როდესაც ბევრი მათგანი, მათი ახლობლები სააკაშვილის დროს უსამართლოდ ჩასვეს ციხეში, დღეს ამ მოსამართლეებს მისცენ ხმა იმისთვის, რომ ისინი უვადოდ დაინიშნონ.

– ეს ამ ნაწილისთვის მიუღებელი იყო?

– ბუნებრივია, ამ ძველი თაობის „ოცნების“ წარმომადგენლებისთვის, რომლებმაც 2012-ში ძალიან ბევრი რამე გარისკეს, იომეს, იბრძოლეს, თავი გაწირეს, ბევრი დაზარალდა, ბევრი რეპრესირებული იყო, ბუნებრივია მათთვის ეს შეუძლებელი თემაა, როგორც უნდა უყვარდეთ ბიძინა ივანიშვილი. დღეს ეს ადამიანები ბიძინა ივანიშვილზე ერთ ზედმეტს არ ამბობენ.

– სწორედ ეს ბადებს კიდევ ერთ ეჭვს, რომ სწორედ იგივე ხომ არ ხდება, რაც მოხდა მოქალაქეთა კავშირის დროს, როდესაც მის წიაღში წარმოიშვა ახალი ოპოზიცია?

– როდესაც მოქალაქეთა კავშირში წარმოიშვა ახალი ოპოზიცია სააკაშვილი-ჟვანიას გუნდის სახით, ეს რეალურად ოპოზიცია იყო. მოქალაქეთა კავშირიდან გამოყოფილი გუნდი რეალურად დაუპირისპირდა შევარდნაძეს და იმ სისტემას. ახლა კი გამოყოფილი დეპუტატები როდის უპირისპირდებიან ივანიშვილს? მასზე ერთ სიტყვას ვერ მათქმევინებთ აუგსო, – ეკა ბესელიამ. ასეთი ოპოზიციონერობა არავის არ უნდა. ასეთ ცალყბა ოპოზიციონერობას არავინ დაიჯერებს.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– ის, რომ ყველაფერში კობახიძეა დამნაშავე, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. თურმე კობახიძე წყვეტს ყველაფერს ამ ქვეყანაში, რაც კი კარგი და ცუდი ხდება. ამას არც ერთი ჭკუათმყოფელი და საღად მოაზროვნე ადამიანი არ მიიღებს.

ასევე არ მიიღებს ეკა ბესელიას ოპოზიციონერობასაც. ეს ყველაფერი დადის იქამდე, რომ კობახიძესთან ვერ შეთანხმდა ეკა ბესელია. ბიძინა ივანიშვილზე ცუდს ვერ მათქმევინებ ნიშნავს იმას, რომ ან ძალიან ბევრი რამ არის ამის უკან, რისი გამოაშკარავებაც არ უნდათ, ან ეს არის ბიძინა ივანიშვილის ახალი პროექტი.

ბესელიასთვის ეს ძალიან დამაზარალებელია, ის ვერ მოახდენს ლეგიტიმირებას ოპოზიციაში. ხოლო თუ ხელისუფლებიდან წამოხვედი და ლეგიტიმირებას ვერ ახდენ ოპოზიციაში, მაგას ჯობია, წახვიდე სახლში, რადგან ამ შემთხვევაში პოლიტიკა არ გამოვა.

დავით მესხიშვილი: „ვინც 9 საათიდან 6-მდე მუშაობს, მთელი ხელფასით პარკინგის ფული უნდა გაისტუმროს?!“

თბილისში პირველი ივლისიდან პარკირებაზე საათობრივი გადასახადის სისტემა ამოქმედდება. პირველი ქუჩა, რომელსაც ეს ცვლილება შეეხება, ლესელიძე იქნება. პარკირების საათობრივი სავარაუდო საფასური, მინიმუმ 50 თეთრით განისაზღვრება. როგორც მერიაში ამბობენ, ეს ცვლილება დედაქალაქში დასაქმებულებსაც მოუწევთ და სამუშაო ოფისებთან ავტომანქანის გაჩერებაზე მათთვის შედავათები არ დაწესდება. აღნიშნული ინიციატივის მთავარი მიზანია, ავტომობილის მფლობელებმა საკუთარი მანქანები გარეშე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით იარონ.

თუ რამდენად ეფექტური იქნება აღნიშნული ინიციატივა დედაქალაქის მოსახლეობისთვის? „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე, დავით მესხიშვილი ესაუბრა.

ლელა მდივანი

– როგორც იცით, პარკირების საათობრივი საფასური, მინიმუმ 50 თეთრით განისაზღვრება. თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე ამბობს, ამ ცვლილების მიზანია, რომ ავტომფლობელებს „გაიძულოთ გადახვიდეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე“, რაც ეკოლოგიისთვის და საცობების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებაო. იზიარებთ ამ შეხედულებას და თუ თვლით, რომ ამით მოგვარდება ეს პრობლემები?

– პირველი, მინდა აღვნიშნო, რომ ის, რაზეც თბილისის მერიამ დაიწყო საუბარი, შემოიღო ზონალური პარკირება და აპირებს, რომ ეს პროექტი ფართომასშტაბიანად დანერგოს და ამას ასაღებს თავის იდეად, ეს არ არის მათი იდეა და თუ ამბობს, რომ მათი იდეაა, არ არის სწორი, რადგან მოპარულია. 2009 წელს ეს წარმოადგინა „სითი პარკმა“. მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ რა მოხდა მანამდე. ამაზე არავის არ უსაუბრია და გეტყვით, რომ „სითი პარკმა“ წარმოადგინა არა მხოლოდ პროექტი, არამედ იყიდა პარკომეტრი, შესაბამისი ბარათები, აპარატები. ესენი დაამონტაჟა კიდეც შესაბამის ქუჩებზე და საზოგადოების მხრიდან ამას მოჰყვა ისეთი მწვავე რეაქცია, ჩვენ გვახსოვს, თბილისის მერია იძულებული გახდა, რომ დაეხია უკან სინამდვილეში და მიგვეღო პარკირების ის გადასახადი, რაც არსებობს. 50 ლარი წლიურად. ეს არის ამ ამბის ისტორია და ამ ამბის გასაღება იმად, რომ მერიამ რაღაც სიახლე შემოგვთავაზა, არ არის სწორი. მერიამ შემოგვთავაზა 2009 წლის სიახლე, რომლის ავტორიც სხვა არის.

– ანუ ვერ მოხდება ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარება? თუ ერთხელ იყო მცდელობა და მერიამ უკან დაიხია, როგორც თქვენ ამბობთ.

– საინტერესო კითხვაა. ჯერ მინდა აღვნიშნო, რომ მერის მოადგილის განცხადებები არის აგრესიული პირველ რიგში, საკმაოდ ხისტი. თან არ უმყარებს არანაირი საფუძველი და ცოდნა სატრანსპორტო საკითხებში, მით უმეტეს, პარკირების საკითხში, „ვაიძულებთ მძღოლებს და იძულებულს გავხდით, რომ ასე მოიქცნენ“ – ეს ფრაზები შევიწროებაზეა ორიენტირებული და არანაირ შედეგს არ მოიტანს. მისი ეს განცხადება აგრესიას უფრო ბადებს. თან იმ ფონზე, როდესაც აძვირებ პარკირების ადგილს და ვერ ახერხებ ალტერნატივის შეთავაზებას. რომ ამბობ პარალელურად ჩავანაცვლებთო, პარალელურად ჩანაცვლებაც არ გამოდის, იმიტომ, რომ მთელი ეს პროცესი უსწრებს წინ. საუბარია იაფიან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ეს არის ერთადერთი გამოსავალი და ამბობ, რომ პარალელურად ჩაანაცვლებ. პარალელურად კი არ უნდა ანაცვლებდე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს განვითარებული, რომ ადამიანს შეეძლოს არჩევანის გაკეთება. მაგალითად, ადამიანი, ვინც მიდის კოტე აფხაზის ქუჩაზე და იძულებულია ავტომობილი გააჩეროს. რითი მივიდეს, როგორ მივიდეს იქამდე?! არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამართული?! კარგი, უნდა ავტომობილის გაჩერება და გააჩერა, მაგრამ ვერაფრით ვერ მივა იქამდე. ესენი ყველაფერს აკეთებენ უკუღმა. ჯერ აკეთებენ იმას, რაც უნდა იყოს მე-3, მე-4 ადგილზე და პირველ-მეორე ადგილზე არსებული საკითხები არის ჩამორჩენაში. ანუ თანამიმდევრობა არის დარღვეული მთლიანად ამ პროცესში. კი, არსებობს ასეთი ფორმა პარკირების, ევროკავშირის ქვეყნების ქალაქებში არის დალაგებული. ბელგიის მაგალითს თუ ავიღებთ, ავტომობილის შენახვა ჯდება ძვირი, მაგრამ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმდენად გამართულია, რომ თავადაც არ უჩნდებათ სურვილი, იმგზავრონ საკუთარი ავტომობილით. ეს ამათ არ ესმით, ამათ ჰგონიათ, რომ ასე გააძვირებენ და ის, რომ ვეღარ გააჩერებს, იმიტომ, რომ ამდენი ფული არ ექნება, იძულებული გახდება, სხვა რამე მოიფიქროს და ეს სხვა რამე ავტომფლობელმა კი არ ჯდება მოიფიქრონ, მერიამ უნდა შესთავაზოს. რასაც სთავაზობს, არის დაგვიანებული, არ მიჰყვება რეფორმას პარკირებასთან დაკავშირებით. დარღვეულია

თანამიმდევრობა. ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ თბილისის მერიამ გამონახოს ალტერნატივა, მიგვახვედროს ის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა კარგია და შესაძლოა პარკირების გაძვირება აღარც იყოს საჭირო. რაღაცები თავისითაც ლაგდება და ამას საერთაშორისო გამოცდილება გვაჩვენებს.

– რამდენიმე თვის წინ, როცა თბილისის მერიაში აცხადებდნენ, რომ პარკირებაზე საათობრივი გადასახადი შესაძლოა, 20 თეთრიდან დაწყებულიყო, თავად საზოგადოებაში გაჟღერდა აზრი, რომ ეს საფასური ვერ უზრუნველყოფდა ქალაქში გადატვირთულობის პრობლემის დარეგულირებას და თანხის გაზრდა იყო საჭირო.

– გასაგებია, შეიძლება პარკირება ღირდეს ძვირი, ძალიან ძვირიც, მაგრამ ის უნდა არსებობდეს სხვა ალტერნატივებთან ერთად. როგორც კი თბილისის მერია გამართავს საზოგადოებრივ ტრანსპორტს და იქნება დედაქალაქში 900 ავტობუსი მაგალითად, რაც საშუალოდ ჩვენს ქალაქს ესაჭიროება, კი ბატონო, ეს პარკირება ალტერნატივა იქნება. საერთოდ აღარ იმგზავრებენ საკუთარი ავტომობილებით. დღეს კი ასეთი სურათით ვიღებთ როგორ მდგომარეობას იცით, ვისაც ფული აქვს, ის გააჩერებს და ვისაც ფული არ აქვს, ის იჩაგრება იმიტომ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილი არ არის ფიზიკურად. თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება შესაბამისი, ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ინიციატივას, მაგრამ ეს ვითარება და მერის მოადგილის ის განცხადება, როგორც საუბრობს, არის მიუღებელი.

– ევროპის ქვეყნები ახსენეთ და აი, მაგალითად, ნიდერლანდების მთავრობის ინიციატივა იყო, რომ დასაქმებულებს, რომლებიც სამსახურში ველოსიპედით ივლიდნენ, ხელფასზე დანამატს გადაუხდიდნენ. მგონი, არ არის გამორიცხული, მალე ჩვენც ველოსიპედით სიარული დაგვიწესონ, თუ ეს საპარკინგე სისტემა არ გაამართლებს. თქვენ რას იტყვით?

– მე მერიის მხრიდან არაფერს არ ველოდები. მათი მიდგომები არ არის თანამედროვე მიდგომები, თანამედროვე გამოწვევებს არ შეესაბამება, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, განვითარება, ბევრი პრობლემა იჭრება. გასაგებია, რომ მერია ყიდულობს ავტობუსებს, მაგრამ ეს დროში გაწელილი პროცესია, მაგრამ ძალიან ბევრი ქვეყნის მაგალითზე ვნახულობთ, იგივე ბელგიის მაგალითზე, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მაქსიმალურად წახალისებული არის ადგილობრივი მთავრობების მიერ. ისინი რადიკალურ ნაბიჯებს კი არ დგამენ, მათ იაფიან ალტერნატივას სთავაზობენ. ზოგიერთ ქვეყანაში, საერთოდ მსჯელობა არის იმაზე, რომ საერთოდ უფასო იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ იჭრება ასეთი პრობლემები. ერთადერთი ალტერნატივა ისაა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს ძალიან კომფორტული და ამავე დროს ძალიან იაფი. იგივე ტალინის მაგალითი შემიძლია გითხრათ, ესტონეთის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის უფასო, ბელგიაშიც წახალისებულია. ეს არის მსოფლიოს ტენდენციები და ამითი გვარდება ასეთი პრობლემები და ამის მოგვარების შემდეგ, პარკირება იქნება თუ ტაქსების შესახებ რეფორმები, იქნება მისაღები.

– ახლა საპარკინგე ადგილი წელიწადში 50 ლარი ღირს. თუ ვთქვათ, მოქალაქე მთელი დღის განმავლობაში 5 ლარამდე გადაიხდის, წელიწადში დაახლოებით 800 ლარზე მეტი თანხის გადახდა ხომ მოუწევს?! ბიუჯეტსაც ხომ დაეტყობა ეს ცვლილება? თქვენ რას ფიქრობთ, შეიძლება მერიას ბიუჯეტის თანხებით შევსება აინტერესებდეს და ეს იყოს სინამდვილეში მათი ამოცანა?

– პოლიტიკური განცხადებებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ცხადია, გაძვირება გამოიწვევს ბიუჯეტის შევსებას. მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში, 700-იც იყოს, 800-ც და 1.000 ლარზე მეტიც. ეს ასე იქნება თავისთავად ცხადია, მაგრამ აქ კიდევ არ მომწონს დაყოფა, რაც მნიშვნელოვანი საკითხია. მაგალითად, სახლთან დაყენება რომ უფასო იქნება, ეს უნდა იყოს მკვეთრად გამიჯნული. სამსახურთან შეღავათი რომ არ იქნება, ეს რას ნიშნავს?! ადამიანი, რომელიც მუშაობს დილის 9-დან საღამოს 6-მდე, დღეში უნდა იხადოს 8 ლარამდე და ხელფასს რომ აიღებს, მთლიანად პარკინგის ფულს გაისტუმრებს. ანუ სამ კატეგორიად უნდა დაიყოს, სახლთან უნდა იყოს უფასო პარკირების ადგილი და ასევე სამუშაო ადგილებთან უნდა იყოს შეღავათი დაწესებული, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში.

– აქვე მინდა გკითხოთ, კომპანია „სისტრამ“ კვლევა ჩაატარა, რის შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისში საჭიროა 18-მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური იქნება ეს ისეთი ვიწრო ქუჩებისთვის და ისეთი მოძრაობისთვის, როგორიც დედაქალაქში გვაქვს?

– მე ავტობუსების შემოყვანას მხარს ვუჭერ, ნეტავ, რაც შეიძლება მეტი შემოვიდეს. ეს ერთადერთი სწორი ალტერნატივაა ამ ქალაქის ჯანსაღად განვითარების, მაგრამ ეს ავტობუსები უნდა იყოს სხვადასხვა სიგრძის. რაღაც ქუჩებზე იქნება ერთი ზომის, ცენტრალურ მაგისტრალებზე, უფრო გრძელი იქნება, ამიტომ ამის მომხრე მე ვარ. ავტობუსების ზოლებს რაც შეეხება, თბილისის მერია ცდილობს ამ ზოლების დახაზვას არაკომპეტენტურად, საშინლად ცუდად. იმდენად ცუდად არის დახაზული, მძღოლები იძულებულები არიან, დაარღვიონ საგზაო წესები. არაკომპეტენტურად საქმის გაკეთებაა მთავარი პრობლემა.

ნანა კაკაბაძე „კანონიერი ქურდების“ დევნას აპროტესტებს

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ე.წ. „კანონიერი ქურდების“ დევნას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ამ მხრივ, მოქმედი ხელისუფლება წინამორბედის მიერ დანერგილ მანკიერ პრაქტიკას აგრძელებს. კაკაბაძის თქმით, ადამიანების ქვეყნიდან განდევნა და დაპატიმრება დაუშვებელია, თუ მათ რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედება არ უმტკიცდებათ. მისი თქმით, დღეს საქართველოში „კანონიერ ქურდებს“ ძირითადად მხოლოდ მათი მრწამსის და სტატუსის გამო დევნიან.

– მე რომ შევქმნა დედოფლების გაერთიანება, ყველა ქალი, ვინც თავს მოიაზრებს დედოფლად გაერთიანდეს ჩემთან ერთად, იმას ნიშნავს, რომ ვინმემ ტახტი დაგვიდგას?! თუ ჩვენ ვთვლით, რომ ვართ დედოფლები და ვაზროვნებთ დედოფლებივით, ეს შეიძლება დანაშაული იყოს? თუ ვინმეს არ ვძალავ რამეს, დანაშაულს არ ჩავდივარ, რა მნიშვნელობა აქვს გარკვეულ წრეში რა სტატუსს მომანიჭებენ, იქნება ეს დედოფალი, თუ „კანონიერი ქურდი“?!

თუ ადამიანი არ სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, ან უმოქმედობას, რომელმაც მძიმე შედეგი გამოიწვია (რაც ასევე დანაშაულია) სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია მისი უფლებების შეზღუდვა, ქვეყნიდან გაძევება, თუ არ შემოშვება. ეს არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ფეხქვეშ გათელვა. რას დავირქმევ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თუ კანონს არ ვარღვევ. არავის აქვს უფლება ასეთ შემთხვევაში ვინმეს გადაადგილება შეუზღუდოს. თუ ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს, რა მნიშვნელობა აქვს რა ერქმევა მის გაერთიანებას – ქურდული სამყარო, თუ ანგელოზთა დასი. როგორ შეიძლება ადამიანი მხოლოდ თავისი აზროვნების და მრწამსის გამო ქვეყანაში არ შემოუშვა და ციხეში ჩააგდო, – აცხადებს ნანა კაკაბაძე, რომელიც „კანონიერი ქურდების“ უფლებების დასაცავად საზოგადოებრივი კამპანიის დაწყებასაც გეგმავს.

– უნდა დაიწყოს კამპანია და დისკუსია, რომელ სამართლებრივ სივრცეში ჯდება ეს ყველაფერი. დღეს თუ ვინმეს სახელწოდება – „კანონიერი ქურდი“ არ მოსწონს და ამის გამო ადამიანებს დევნიან, ხვალ ვიღაც იგივეს პოლიტიკური ნიშნით გააკეთებს და გამოაცხადებს, რომ კონკრეტული პარტიის სახელწოდება მისთვის მიუღებელია, ამიტომ აიკრძალოსო.

კონკრეტული ადამიანების უკანონო დევნის ეს მახინჯი პრაქტიკა დანერგეს ნაციონალებმა და სამწუხაროდ, „წარმატებით“ გააგრძელა „ოცნებამ“. დღევანდელი ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ ჩრდილიდან ვერ გამოდის და იმის შიშით, არიქა, რას იტყვის ამაზე „ნაციონალური მოძრაობა“ იღებს აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილებებს. თუ რამე დააშავა „კანონიერმა ქურდმა“, ან უკანონო ქურდმა, ან ანგელოზთა დასის წარმომადგენელმა, ის უნდა დაისაჯოს, მაგრამ რაღაც სოციალურ წრეში აღიარებული სტატუსის გამო ადამიანების ქვეყნიდან განდევნა არის უკიდურესად არადემოკრატიული საქციელი. რომ ვიძახო თამარ მეფე ვართქო, წმინდათ გამომაცხადებენ?! სადაა ლოგიკა აქ?! ყველა ნამდვილი უფლებადამცველი და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანი უნდა გაერთიანდეს, თუ მათ რეალურად აღელვებთ ადამიანის უფლებები და ხმა ამოიღონ.

21-ე საუკუნეში ადამიანები იდევნებიან არა კონკრეტული დანაშაულებების, არამედ რაღაც სტატუსის გამო. აგერ ვიძახი – მე ვარ კანონიერი ქუდი, მოდით დამიჭირეთ, – აცხადებს ნანა კაკაბაძე.

კვირა

დავით ჭიჭინაძე ახალ პარტიას ქმნის

„ოცნებიდან“ დეპუტატების გადინება გრძელდება

შორენა მარსაგიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ბრიგადის ბიჭები ამტკიცებენ, საპარლამენტო უმრავლესობა მყარიაო, იქედან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის.

გუშინ, 27 თებერვალს, ზვიად კვაჭანტირაძემ ოფიციალურად დატოვა საპარლამენტო უმრავლესობა და ფრაქცია „ქართული ოცნება“. კვაჭანტირაძე ძველი გვარდიის წარმომადგენელია და ის ივანიშვილთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. წინა მოწვევის პარლამენტში მას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პოსტიც ეკავა.

საბოლოო გადაწყვეტილება მან ახლა გაახმოვანა. ბაქოში მყოფმა დეპუტატმა ტელეკომპანია იმედთან განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილთან ამაზე საუბარი რამდენიმე თვის წინ ჰქონდა.

ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილება პარლამენტში არსებულ სიტუაციაზე ერთგვარი პროტესტია.

– გადაწყვეტილება, რომელიც მე მიღებული მაქვს, არის ძალიან მტკივნეული და სრულიად არ მგვრის ეს სიამოვნებას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი გადაწყვეტილება იქნება სწორი და სწორი იქნება ჩემი თანამებრძოლებისა და მეგობრების წინაშე, – აღნიშნა კვაჭანტირაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე კვაჭანტირაძის გადაწყვეტილებამ განარისხა. ის აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელისგან მეტ განმარტებებს ითხოვს.

– ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე ამჟამად ბაქოში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით, ის დელეგაციაშია უმრავლესობის სახელით და ჯერჯერობით კომიტეტის მოქმედი თავმჯდომარეა. ალბათ, ამ დროს მისი მხრიდან განცხადების დაწერაზე, ის მეტ განმარტებებს გააკეთებს და უმრავლესობასთან ექნება საუბარი თავის გადაწყვეტილებაზე, – აღნიშნა თალაკვაძემ.

უმრავლესობიდან წამოსვლას არ გამორიცხავენ კობა ნარჩემაშვილი, გია ჟორჟოლიანი და მირიან წიკლაური.

უმრავლესობიდან გარიცხული დავით ჭიჭინაძე კი თავისი პარტიის შექმნას აპირებს.

– დადგა დრო, პოლიტიკური ორგანიზაცია მე თვითონ შევქმნა – პოლიტიკაში პოლიტიკით უნდა იცხოვრო, პოლიტიკა კი, პარტიას გულისხმობს, – განუცხადა დავით ჭიჭინაძემ ჟურნალისტებს.

როგორც ჭიჭინაძემ განმარტა, ის საკუთარი პარტიის შექმნის საკითხზე მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს და ამ მხრივ მისი დასაყრდენი 2012 წელს მოსული, იმედგაცრუებული ადამიანები არიან.

კითხვაზე, აპირებს თუ არა იმ საპარლამენტო ფრაქციაში შესვლას, რომლის ჩამოყალიბებაზეც ეკა ბესელია მუშაობს, ჭიჭინაძემ განაცხადა, რომ ის უმრავლესობიდან დეპუტატების გარიცხვას დაელოდება, რადგან მისთვის „ფრაქციის შექმნა გარიცხულებთან ერთად უფრო კომფორტული იქნება, ვიდრე გამოსულებთან“.

ობიექტის კერძო დაცვის თანამშრომლებმა ქურდობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოსდა თბილისში, მოსკოვის გამზირზე პოლიციელებმა არასრულწლოვანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თავად დაზარალებული ყვება, რომ მას თავს ორი სამართალდამცველი დაესხა, რომლებმაც მას ჯერ თავის არეში მუშტი ჩაარტყეს, შემდეგ კი მის წინააღმდეგ მათრახი გამოიყენეს.

ფაქტის გადასამოწმებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს დავუკავშირდით სადაც განმარტავენ, რომ მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ სპორტულ დარბაზში ქურდობის ფაქტი მოხდა, რაც იქვე მდებარე კერძო დაცვის თანამშრომლებმა შენიშნეს. გაირკვა, რომ მიმალვისას კერძო დაცვის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყეს, ხოლო ცემის ფაქტზე 126-ე მუხლით რაც ძალადობას გულისხმობს.

ფაქტთან დაკავშირებით აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

„ლელა ქსოვრელმა 4 წლის შვილს თავში ჩაარტყა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია“

სანზონაში გარდაცვლილი 4 წლის გოგოს დედას, ლელა ქსოვრელს, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ბრალი დაუმძიმდა.

ეს ინფორმაცია რადიო თავისუფლებას დაუდასტურა ლელა ქსოვრელის ადვოკატმა ნინო ტაბატაძემ.

მისი თქმით, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა დაცვის მხარესაც ჩაბარდა.

ლელა ქსოვრელს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაუმძიმდა, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

„2019 წლის 25 თებერვალს ლ.ქ.-ს წარედგინა დაზუსტებული ბრალი საქართველოს სსკ-ის 111.117-ე მუხლის მე-6 ნაწილით (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ), 111.126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის სისტემატური ცემა და ძალადობა, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) და 111.381-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ).

გამოძიებით დადგინდა, რომ 2019 წლის 21 იანვრიდან 22 იანვრამდე ღამის პერიოდში, ლ.ქ.-მ თავის არასრულწლოვან შვილს ნ.ზ.-ს თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, ქალა-ტვინის ბლაგვი ტრავმის სახით. მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია სისხლჩაქცევა და თავის ტვინის მკვეთრი შეშუპება, შედეგად 2019 წლის 22 იანვრის დილის საათებში ნ.ზ. გარდაიცვალა“ – აცხადებენ პროკურატურაში.

4 წლის ბავშვის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება 22 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველომ სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

გამოძიების ფარგლებში, 22 იანვარსვე დააკავეს ბავშვის დედა, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე პრიმა მუხლით, რაც შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

წინასასამართლო სხდომა 4 წლის ბავშვის გარდაცვალების საქმეზე 7 მარტს დაინიშნა.

ძარცვა ქუთაისში 450 ლარის გამო დაკავებულია 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისში ძარცვის ბრალდებით 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ძალადობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1998 წელს დაბადებული ა. ბ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქალაქ ქუთაისში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, საქართველოში დროებით მცხოვრებ ინდოეთის მოქალაქეს 450 ლარი და პირადი დოკუმენტები გასტაცა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გატაცებული დოკუმენტები ამოღებულია ნივთმტკიცებად.

გამოძიება ძარცვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აჭარაში პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



პოლიციამ აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული ბ.ჭ. დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 59 აბი ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ და 1,406 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, ასევე, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიციელ ჭაბუკა ლემონჯავას საქმეზე 9 მოწმე დაიკითხა

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელის, ჭაბუკა ლემონჯავას საქმეზე 9 მოწმე დაიკითხა.

გუშინდელ სხდომაზე მოსამართლე შოთა ბიჭიამ ფოთის საავადმყოფოს ექთანს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებს და ექსპერტ-კრიმინალისტებს მოუსმინა.

ფოთის საავადმყოფოს ექთნის, ლია ხურციას ინფორმაციით, მათთან შეყვანისას ლემონჯავას თავის არეში სიწითლე აღენიშნებოდა და თავს ცუდად გრძნობდა.

– მისი გამოკვლევების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საავადმყოფოში დაეტოვებინათ. საავადმყოფოში დაახლოებით ექვსი დღის განმავლობაში იყო. დიაგნოზი არ ვიცი, თუმცა მკურნალობა დაუნიშნეს, ისეთი, რაც ტვინის შერყევის მქონე პაციენტებს ენიშნებათ, – აღნიშნა ხურციამ.

ექსპერტები, რომლებმაც შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს და შესაბამისი ნივთმტკიცებები ამოიღეს, დეტალებს ვერ იხსენებენ. მათი თქმით, მომხდარიდან დიდი დრო გავიდა და ყველაფრის გახსენება უჭირთ.

გუშინვე დაიკითხა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გიორგი ხაჭვანი.

მისი თქმით, ის შემთხვევის ადგილას შეტყობინების საფუძველზე მივიდა.

– შემთხვევის ადგილას რომ მივედი, მანქანიდან გადმოსვლისთანავე ასმეთაური მოვიდა და გვითხრა, რომ ჩვენი ადგილზე დარჩენის საჭიროება არ იყო და გაგვეგრძელებინა პატრულირება. ამ დროს დავინახე, ჭაბუკა ლემონჯავა აქეთ-იქით დადიოდა, სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული, – განაცხადა ხაჭვანმა.

კიდევ ერთმა მოწმემ, პოლიციის თანამშრომელმა ვლადიმერ ნადარაიამ, რომელიც შემთხვევის ადგილას ყველაზე ადრე მივიდა, სასამართლო პროცესზე თქვა, რომ ჩასარიცხი აპარატი გატეხილი იყო, მის წინ ადამიანი იწვა და იქვე ეგდო რკინის ჩაქუჩიც.

– შეტყობინება შემოვიდა, რომ რევაზ საჯაიას სჭირდებოდა დახმარება. ადგილზე მივედით ათ წუთში. პირდაპირ გავემართე აპარატთან. ის გატეხილი იყო. მის წინ იწვა ადამიანი, თავთან სისხლის გუბე იდგა. იქვე ეგდო რკინის ჩაქუჩიც, – განაცხადა ნადარაიამ.

შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცავებმა ლემონჯავას კუთვნილი იარაღი 6 მჭიდით, ჩაქუჩი და 1 ვაზნა ამოიღეს.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში აღნიშნულ საქმეზე მოწმეების გამოკითხვა გრძელდება. სასამართლომ ასევე უნდა მოუსმინოს ერთადერთ პირდაპირ მოწმეს, რომელიც შემთხვევის ღამეს ჭაბუკა ლემონჯავასთან ერთად მორიგეობდა.

2018 წლის 23 ივლისს მამაკაცს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის მცდელობის დროს სამართალდამცავმა, სავარაუდოდ, წინააღმდეგობის გაწევისას ესროლა.

მამაკაცს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. შედეგად, ის ზუგდიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პროკურატურამ საქმე სს კოდექსის 333-ე მუხლის 3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აღძრა, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით, ან იარაღის გამოყენებით.

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ხუთი ფაქტი გამოავლინა

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის 5 ფაქტი გამოავლინა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ღონისძიებების შედეგად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ხუთი ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში, დანაშაულში მხილებული პირებისგან ამოღებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი 3 250 კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი, რომლის საერთო საბაზრო ღირებულება 12 000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩაქვის გვირაბთან ტრაილერი მსუბუქ მანქანას დაეჯახა

დაშავდა 2 ადამიანი

26 თებერვალს, დაახლოებით 20:30 საათზე, ჩაქვში, გვირაბთან 2 ავტომანქანა შეეჯახა ერთმანეთს. სატვირთო ტრაილერისა და მსუბუქი ავტომანქანის შეჯახების შედეგად განსაკუთრებით ეს უკანასკნელი დაზიანდა.

ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმების პირველადი ინფორმაციით, დაშავებულები კონტაქტურები იყვნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებათ.

ბათუმი-ქობულეთის დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე, კერძოდ, გვირაბის მონაკვეთზე საავტომობილო მოძრაობა აკრძალული იყო.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები, რომლებიც გამოძიებას აწარმოებდნენ.

რუსთავი-გაჩიანის ხიდის საყრდენი სამაგრების მოპარვა სცადეს

პოლიციამ რუსთავში წარსულში ნასამართლევი ორი ახალგაზრდა (1997 წელს და 1994 წელს დაბადებულები) ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

ინფორმაციას შსს ავრცელებს.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი რუსთავი-გაჩიანის დამაკავშირებელი ხიდის ლითონის საყრდენ სამაგრებს ლითონის მჭრელების საშუალებით ჭრიდნენ და იპარავდნენ.

ერთ-ერთმა დაკავებულმა დ.ა.-მ დანაშაული პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის პერიოდში ჩაიდინა.

გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თელავში მხუთავი აირით ბებია და 17 წლის შვილიშვილი მოიწამლნენ

თელავში, სავარაუდოდ, მხუთავი აირით ერთ-ერთი საცხოვრებელ კორპუსში ბებია და 17 წლის შვილიშვილი მოიწამლნენ, რომლებიც თელავის რეფერალურ საავადმყოფოში არიან მოთავსებული.

ადგილზე შესვლა მაშველებმა სპეციალური ტექნიკით შეძლეს.

ტიმოშენკომ პოროშენკოს იმპიჩმენტი მოითხოვა

უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და პოლიტიკური დაპირისპირებაც მწვავდება. პარტია ბატკივშჩინას ლიდერმა იულია ტიმოშენკომ პრეზიდენტი პოროშენკო ღალატში დაადანაშაულა.

მედიაში ჩატარებული გამოძიების მიხედვით, ჯგუფმა, რომელსაც პეტრო პოროშენკო მფარველობს, რუსეთიდან კონტრაბანდული გზით სამხედრო ტექნიკისთვის უვარგისი დეტალები შემოიტანა.

ამასთან დაკავშირებით ტიმოშენკომ განაცხადა, რომ პოროშენკოს საქციელი ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც სახელმწიფო ღალატი.

– უმაღლეს რადაში პოროშენკოს იმპიჩმენტის პროცედურას ვიწყებთ! ჩვენ სხვა ფრაქციებიც დაგვიჭერენ მხარს, – განაცხადა ტიმოშენკომ.

ექსპერტებს იმპიჩმენტის პროცესის წარმატების არ სჯერათ თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინაში არ არსებობს კანონი იმპიჩმენტის შესახებ. პანი იულიას მომხრეებსაც საკმარისი ხმები არ გააჩნიათ.

ერთი შეხედვით, ტიმოშენკოს წამოწყება უაზრობაა, მაგრამ ეს ასე არ არის. არჩევნების წინ ტიმოშენკოს რეიტინგი მკვეთრად დაეცა. დღეს იგი 14%-ით მესამე ადგილზეა. პირველზე კვლავ შოუმენი ზელენსკი იმყოფება (21%). პოროშენკო მას ნელა, მაგრამ მტკიცედ უახლოვდება (18%). ტიმოშენკოსაც ერთადერთი გამოსავალი რჩება: ქუჩა.

თავისი ხმაურიანი წამოწყებით ტიმოშენკო ფაქტიურად ქუჩის აქციებისათვის ემზადება.

დღევანდელ უკრაინაში ახალი მაიდანისთვის პირობები არ არის. დონბასში ომი გრძელდება, რუსულმა აგრესიამ საზოგადოება შეკრა. ქუჩის აქციებიც იქნება აღქმული, როგორც მოსკოვის პროვოკაცია. ტიმოშენკო ამას კარგად აცნობიერებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ქუჩის აქციები შესაძლოა დასჭირდეს. ის ცდილობს, თავისი პერსონის გარშემო პატრიოტული ელექტორატის კონსოლიდაცია მოახდინოს. მისი ხმაურიანი განცხადებაც ამან განაპირობა.

როგორც პოროშენკო, ასევე ტიმოშენკო მხარს უჭერენ უკრაინის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში, წინააღმდეგნი არიან უკრაინის ფედერალიზაციის და ა.შ. პოროშენკო-ტიმოშენკოს შორის ბრძოლაც არის არა პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის ბრძოლა, არამედ ჭიდილი ხელისუფლებისთვის.

უკრაინის დამოუკიდებლობის 26 წლის მანძილზე ამგვარი რამ პირველად ხდება. პოსტსაბჭოთა პერიოდში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ კანდიდატები, რომლებიც პრორუსული და პატრიოტული ლოზუნგებით გამოდიოდნენ. მაშინ საზოგადოება პოლარიზებული იყო, ახლა ეს შეიცვალა.

– დღეს უკრაინა ერთიანია. პრორუსულ ლოზუნგებსაც პენსიონერთა მცირე ჯგუფის მეტი არავინ მიემხრო, ამით აიხსნება ის დაბალი რეიტინგი, რომლითაც პრორუსი კანდიდატი ბოიკო სარგებლობს, – ამბობს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ამერიკელებმა რუსების წინააღმდეგ კიბერშეტევა განახორციელეს

პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა რუსეთის წინააღმდეგ კიბერშეტევის დაწყებას.

პირველად ეს კონგრესში შუალედური არჩევნების დროს განხორციელდა. მაშინ ნაწილობრივ დაიბლოკა რუსული „ინტერნეტ-კვლევები," რამაც ამერიკულ არჩევნებში რუსების ჩარევა შეუძლებელი გახადა.

დღეისთვის ეს კვლევები მთლიანადაა დაბლოკილი.

ფსბ-ს 2 თანამშრომელს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს

ცივი ომის გამწვავებასთან ერთად რუსეთში ე.წ. ამერიკის ჯაშუშებს იჭერენ. ასეთები უკვე ფედერალური უშიშროების სამსახურშიც (ფსბ) აღმოაჩინეს.

მოსკოვის სასამართლომ ფსბ-ს ორ თანამშრომელს, სტოიანოვს და მიხაილოვს, ჯაშუშობისთვის ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯა. მიხაილოვს 24 წლით, სტოიანოვს – 22-ით.

მათ ბრალად ედებათ, რომ ამერიკელებს გადასცეს საიდუმლო ინფორმაცია რუსების კიბერშეტევების შესახებ.

კონგრესმა აშშ-სა და მექსიკის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გააუქმა

კონგრესმა აშშ-მექსიკის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გააუქმა.

დადგენილებას მხარი დაუჭირეს როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

ისინი თვლიან, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა და ძალაუფლების უზურპაციას შეეცადა.

ტრამპის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ნაწილი მექსიკასთან კედლის აშენება იყო. კონგრესმა მას ამის უფლება არ მისცა. მაშინ ტრამპმა აშშ-მექსიკის საზღვარზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რაც მას უფლებას აძლევდა, კედლის აშენებისთვის აუცილებელი ფული პენტაგონისთვის ეთხოვა.

ავსტრალიაში ვატიკანის პრეფექტი დააკავეს

ავსტრალიაში ვატიკანის ფინანსური განყოფილების უფროსი ჯორჯ პერელი დააკავეს.

ის მცირეწლოვანზე სექსუალურ ძალადობაში იქნა მხილებული.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოიხსნა აკრძალვა პერლის საქმის მედიაში გაშუქების შესახებ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი".

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა", ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დე ხეა კონტრაქტის გაგრძელებაზე უარს ამბობს



ბრიტანული გამოცემების ცნობით, დავიდ დე ხეასა და მანჩესტერ იუნაიტედს შორის ახალ კონტრაქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კვლავ ჩიხში შევიდა. ესპანელმა მეკარემ კლუბის ზღაპრული შეთავაზება იუარა.

შეთავაზებული კონტრაქტის თანახმად, 28 წლის მეკარე კვირაში 350.000 გირვანქა სტერლინგს მიიღებდა, რის შემდეგაც მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მეკარე გახდებოდა. ამჟამად კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ალექსის სანჩესია, რომლის შემოსავალი კვირაში 400.000 გირვანქაა.

დე ხეას უკმაყოფილების მიზეზი და მოთხოვნები ჯერჯერობით უცნობია. როგორც ცნობილია, მანჩესტერელთა მეკარის შეძენით პარი სენ-ჟერმენი და იუვენტუსი ინტერესდებიან.

ესპანელი მანჩესტერულ კლუბს 2011 წლის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე ატლეტიკოდან შეუერთდა. მანჩესტერელებს მისი ტრანსფერი 22 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. დე ხეას ამჟამინდელი კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, თუმცა კლუბს შეუძლია კონტრაქტში შეტანილი პუნქტი გამოიყენოს და ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით ავტომატურად გაახანგრძლივოს.

მანჩესტერის თვალთახედვის არეშია მიუნხენის ბაიერნის კოლუმბიელი შემტევი ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი. თუმცა, მისი გადაბირებით მარტო ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდი არ არის დაინტერესებული – ხამესი ასევე ლივერპულს აინტერესებს.

სადღეისოდ, 27 წლის ფეხბურთელი ჯერ კიდევ მადრიდის რეალის საკუთრებაშია, გერმანულ გრანდში კი, იჯარის წესით ასპარეზობს. „რეკორდმაისტერი“ ჯერ ფეხბურთელის გამოსყიდვის შესახებ არანაირ ინტერესს არ იჩენს, არადა, დრო მაისის შუა რიცხვებამდე აქვს.

ინგლისური კლუბები მზად არიან, იმ შემთხვევაში თუ გერმანელები ფეხბურთელის გამოსყიდვის სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს არ გადაიხდიან, ფეხბურთელის კონტრაქტი სრულად გამოისყიდონ.

ესპანურ გრანდთან კონტრაქტი ხამეს როდრიგესს 2021 წლამდე აკავშირებს.

იუნაიტედს ახალი ცენტრალური მცველით გაძლიერება სურს. „წითელმა ეშმაკებმა“ ამის გაკეთება გასულ ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე არ ისურვეს. დიდი ალბათობით, გუნდი ამ პოზიციაზე ახალ ფეხბურთელს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე წარადგენს.

სატრანსფერო სიაში არიან ნაპოლის ცენტრალური მცველი კალიდუ კულიბალი და ლონდონის ტოტენჰემის უკანახაზელ ბელგიელ ტობი ალდერვეირელდე.

ბოლო ინფორმაციით, მანჩესტერელთა ინტერესთა სფეროში, იტალიური მილანის ცენტრალური მცველი და გუნდის კაპიტანი ალესიო რომანიოლი მოხვდა.

ფეხბურთელის კონტრაქტი მის ამჟამინდელ კლუბთან 2022 წლამდეა გათვლილი.

რატომ არ შედგა დავითაშვილის ტრანსფერი რუბინში

ქართველი ფეხბურთელი ზურიკო დავითაშვილი ყაზანში იმყოფებოდა და კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოს იყო, მაგრამ საბოლოოდ, ჩაშალა.

როგორც რუსი ჟურნალისტები წერენ, ამის მიზეზი კონტრაქტის ხანგრძლივობა იყო. ვნახოთ, რა წერია რუსულ მედიაში...

– როდესაც დავითაშვილი 18 წლის გახდა, რუბინმა გადაწყვიტა, მასთან კონტრაქტი გაეფორმებინა. როგორც იცით, სრულწლოვნებამდე ამას ფიფა კრძალავს. ყაზანურმა კლუბმა მოთამაშეს 4,5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა, თუმცა საპასუხოდ ერთწლიანი ხელშეკრულების მოთხოვნა მიიღო. ცოტა უცნაურია, ახალგაზრდა მოთამაშე მხოლოდ ერთი წლით დაიმატო. გარდა ამისა, ცალსახაა, რომ დავითაშვილს რუბინის დატოვება რაც შეიძლება სწრაფად სურდა და ყაზანური კლუბის ტრამპლინად გამოყენებას აპირებდა, რაც ქართულ მედიასთან ინტერვიუშიც დაადასტურა.

რუბინმა კომპრომისზე წასვლა სცადა და დავითაშვილს 2,5-წლიანი ხელშეკრულება შესთავაზა, თუმცა ისევ უარი მიიღო. შეკრების დამთავრებამდე 2 დღით ადრე, ზურიკო დაემშვიდობა ზოგიერთ ფეხბურთელს, შტაბის წევრს და ბელეკი (ქალაქი თურქეთში, სადაც რუბინი შეკრებას გადიოდა) დატოვა. ფეხბურთელმა შეკრება ცრემლებით დატოვა. ცხადია, ეს გადაწყვეტილება მას მარტოს არ მიუღია. ცხადია, ის საკუთარი აგენტის, გიგა გადელიას და მამის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ჩვენი ინფორმაციით, ასეთი გართულებული სიტუაციის და დავითაშვილის უცნაური ქცევის მიუხედავად, რუბინი მაინც მზადაა, ფეხბურთელს კონტრაქტი გაუფორმოს. თუ ქართველს რუბინში დაბრუნება და კონტრაქტის გაფორმება სურს, ყაზანელები უარს არ იტყვიან, თუმცა მზად არ არიან, დათმობებზე ისეთ ფეხბურთელთან წავიდნენ, რომელსაც პროფესიონალურ დონეზე ჯერ არაფრისთვის მიუღწევია.

რუბინი მზადაა, მისცეს დავითაშვილს სათამაშო პრაქტიკა, დააკმაყოფილოს ფინანსურად, გაუფორმოს კონტრაქტი, რითაც მას ზაფხულში წასვლაც შეეძლება, თუმცა რუსული კლუბი არ აპირებს ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას.

დავითაშვილის ტრანსფერის ჩაშლა რუბინისთვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან კლუბი ფოკუსირებული იყო ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელზე, თან იმ დროს, როდესაც სერდარ აზმუნის წასვლის შემდეგ არც ერთი თავდამსხმელი გაუფორმებია. გარდა ამისა, რუბინი აუცილებლად დაიმატებდა სხვა შემტევს, თუ ეცოდინებოდა, რომ დავითაშვილთან განშორება მოუწევდა.

ერთი რამ ფაქტია: რუბინში ფეხბურთელის სჯეროდათ, მისცეს შანსი. ასეთივე რამ მოხდა ერთი წლის წინ ილზატ ახმეტოვთან დაკავშირებით, რომელიც დღეს ცსკა-ს ლიდერია. სამარცხვინო იქნება, თუ დავითაშვილის ისტორიაც ასევე დასრულდება და რუბინში გახსნილი ფეხბურთელი სხვა კლუბში გაიბრწყინებს.

იუვენტუსი მარსელოს გაიფორმებს, დიბალა რიგშია

საფეხბურთო აგენტ, ალფრედო პედულას თქმით, ტურინელებს მადრიდის რეალის განაპირა მცველ მარსელოსთან ყველაფერი შეთანხმებული აქვთ.

ალფრედო პედულა:

– ბრაზილიელის გადაბირება ტურინს ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში სურდა, მაგრამ ამის უფლება მარცხენა ფლანგელს თავად კლუბმა არ მისცა. ახლა კი სიტუაცია ამ მხრივ უკეთესობისკენ არის შეცვლილი და, როგორც ჩანს, მარსელო იუვეს ზაფხულშივე შეუერთდება. ჯერჯერობით უცნობია, თავად იუვეს რა თანხა დაუჯდება მისი დამატება, მაგრამ აქედანვე უნდა გამოვრიცხოთ ვარიანტი მისი ალექს სანდროში გაცვლის.

იტალიური მედიის მტკიცებით, იუვენტუსი ასევე მაურო იკარდის გადაბირებით არის დაინტერესებული. აქ ტურინელებს კონკურენტი ჰყავთ – ნაპოლი.

საგულისხმოა, რომ ნეაპოლელებმა არგენტინელ ფორვარდს სეზონში 9 მილიონი ევრო და დამატებით ბონუსის სახით კიდევ 2 მილიონი შესთავაზეს. თუმცა, თავად ინტერის მესვეურებს მაუროს გასხვისება უშუალოდ იუვეში სურთ, რადგან მხოლოდ ტურინელებს შეუძლიათ მათი ფინანსური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც 110 მილიონ ევროს შეადგენს.

ბასილაშვილმა აგუტი დაამარცხა

დუბაიში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მერვედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილმა 6:7 (2:7), 6:4, 6:3 დაამარცხა რობერტო ბაუტისტა აგუტი და შემდეგ ეტაპზე გავიდა. გეტყვით, რომ ესპანელი ჩოგბურთელი ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია.

ბასილაშვილი 30 წლის ესპანელს კარიერაში მესამედ შეხვდა. წინა 2 მატჩი აგუტის მოგებით დასრულდა, ამჯერად კი ნიკამ მეტოქეს მხოლოდ პირველი სეტი დაუთმო.

აგუტთან თამაშამდე ბასილაშვილმა ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ კარენ ხაჩანოვს 2 სეტში სძლია. მეოთხედფინალში ბასილაშვილის მეტოქე ხორვატი ბორნა ჩორჩისა (13) და ჩეხი ტომაშ ბერდიხის (88) შეხვედრაში გაირკვევა.

ნიკოლოზ ბასილაშვილი საემიროებში ავსტრალიელ მეტიუ ებდენთან ერთად წყვილებშიც ასპარეზობს. სტარტზე მათ რეივენ კლაასენისა და მაიკლ ვინუსის დუეტი დაამარცხეს (2:1), მეოთხედფინალში კი, ჟან-ჟულიენ როიერისა და ჰორია ტეკეუს დაუპირისპირდებიან.

დუბაის ტურნირი ატპ-ის 500-იანი სერიისაა და მისი საპრიზო ფონდი 2.887.000 დოლარია.

ბაიერნი ტრანსფერებისთვის ნიადაგს ამზადებს

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტმა ული ჰაინესმა, ჟურნალისტებთან გერმანული გრანდის სატრანსფერო პოლიტიკაზე ისაუბრა. ბავარიელთა ხელმძღვანელის განცხადებით, არსებული ფინანსური გამოწვევების მიუხედავად, გუნდი მზად არის, მომავალ ზაფხულს აქტიური სატრანსფერო კამპანიით შეხვდეს.

ული ჰაინესი:

– ხამესის გამოსყიდვის უფლება ჩვენს ხელთ მაისის შუა რიცხვებამდეა. თუ ჩვენ გადავწყვეტთ, ამ ოფციის გააქტიურებას, მაშინ ხამესი დარჩება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, სურს თუ არა კოვაჩს მისი გაფორმება. რაც შეეხება ბაიერნის სამომავლო ტრანსფერებს: საქმე ფულში არ არის, თქვენ შეგიძლიათ 500 მილიონი დახარჯოთ, მაგრამ თუ მთავარმა მწვრთნელმა ეს ფეხბურთელები არ განავითარა, მაშინ ამაში ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ. შეხედეთ მანჩესტერ იუნაიტედს – მოურინიოს ჰქონდა ტრანსფერებისთვის გამოყოფილი ფული, მაგრამ მან მაინც ვერ გაართვა თავი დასახულ ამოცანებს. დღეს ფეხბურთელები ძალიან ძვირი ღირს, სწორედ ამიტომ ფულს ვზოგავთ, მაგრამ ახლა ჩვენ მზად ვართ ზაფხულის სატრანსფერო კამპანიისთვის. გადავიხდით თუ არა 80 მილიონ ევროს ლუკა ერნანდესისთვის? თუ ჩვენ მოვძებნიდით ამ დონის ფეხბურთელს, მაშინ გადავიხდიდით კიდეც აღნიშნულ თანხას.

საერთოდ რა გეგმები აქვს ბაიერნს, ამის შესახებ გერმანული მედია წერს. მათი ცნობით, აქამდე ბაიერნის მხოლოდ 2 ტრანსფერის შესახებ იყო ცნობილი: ბენჟამენ პავარი, რომელიც ბავარიულ გრანდში შტუტგარტიდან გადადის და ფიტე არპი, რომელიც რეკორდმაისტერს ჰამბურგიდან ამ ზაფხულს, ანაც 2020 წლის იანვარში შეუერთდება.

მიუნხენელებმა ლუკა ერნანდესის ტრანსფერში აგენტი ჯოვანი ბრანკინი ჩართეს. ბაიერნის სპორტულმა დირექტორმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა დაადასტურა, რომ ატლეტიკოსთან მოლაპარაკებები პოზიტიურად მიმდინარეობს. 23 წლის უკანახაზელის ფიქსირებული ფასი 80 მილიონი ევროა.

ასევე გადაწყვეტილია ბაიერნში ლაიპციგისა და გერმანიის ნაკრების ცენტრფორვარდის, ტიმო ვერნერის ტრანსფერიც. მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელები მის აგენტ კარლჰაინც ფიორსტერს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ. ვერნერი ბაიერნში ზაფხულში, ან ყველაზე გვიან, 2020 წელს უნდა შეუერთდეს. ახლა გასარკვევი დარჩა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – გააგრძელებს თუ არა ვერნერი ლაიპციგთან კონტრაქტს, რომელსაც ვადა სწორედ 2020 წელს ეწურება. თუ ხელშეკრულება არ გახანგრძლივდა, ლაიპციგი იძულებული იქნება, რომ გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ამ ზაფხულშივე გაყიდოს, სხვა შემთხვევაში, 2020 წელს უფასოდ დაკარგავს. თუ ვერნერი ბაიერნში წელსვე გადავა, ბავარიელებს ეს ტრანსფერი დაახლოებით 60 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

ერნანდესისა და ვერნერის გარდა, ბავარიელები ლევერკუზენის ახალგაზრდა ნახევარმცველ კაი ჰავერტცსაც სერიოზულად უმიზნებენ. ლევერკუზენიც მზად არის, 19 წლის ჰავერტცი ზაფხულში გაყიდოს, თუკი ბაიერნი 65 მილიონ ევროს გადაიხდის.

ჰავერტცს „ფარმაცევტებთან“ კონტრაქტი 2022 წლამდე აქვს გაფორმებული. თუ პეტერ ბოშის გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, გუნდს ჰავერტცის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ლევერკუზენი ახლა მე-7 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მე-4 პოზიციაზე მყოფ ლაიპციგს 6 ქულით ჩამორჩება.

ბაიერნს კვლავინდებურად სურს ჩელსის ტალანტის, კალუმ ჰანდსონ-ოდოის გადაბირება და მზადაა, მის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაიხადოს. თუმცა, ლონდონელებს მისი გაშვება არ სურთ. თუ ბავარიელები ამ ტრანსფერს ვერ განახორციელებენ, 2 ალტერნატივაზე ფიქრობენ: ნიკოლა პეპეზე ლილიდან და იულიან ბრანდტზე ლევერკუზენიდან.

შედეგები

26 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

კარდიფი-ევერტონი	0:3
ლესტერი-ბრაიტონი	2:1
ჰადერსფილდი-ვულვზი	1:0
ნიუკასლი-ბარნლი	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	27	20	6	1	59-15	66
2.სიტი	27	21	2	4	74-20	65
3.ტოტენჰემი	27	20	0	7	55-27	60
4.არსენალი	27	16	5	6	55-37	53
5.მანჩესტერი	27	15	7	5	52-35	52
6.ჩელსი	26	15	5	6	45-29	50
7.უოტფორდი	27	11	7	9	39-35	40
8.ვულვზი	28	11	7	10	35-35	40
9.ევერტონი	28	10	6	12	39-39	36
10.ვესტ ჰემი	27	10	6	11	35-40	36
11.ლესტერი	28	10	5	13	34-39	35
12.ბორნმუთი	27	10	4	13	38-48	34
13.ნიუკასლი	28	8	7	13	26-34	31
14.კრ.პალასი	27	8	6	13	31-35	30
15.ბარნლი	28	8	6	14	31-50	30
16.ბრაიტონი	27	7	6	14	29-41	27
17.კარდიფი	28	7	4	17	25-55	25
18.საუთჰემპტონი	27	5	9	13	28-46	24
19.ფულემი	27	4	5	18	26-61	17
20.ჰადერსფილდი	28	3	5	20	15-50	14

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბრისტოლი-ბირმინგემი	1:2
ქარ-ლიდსი	1:0
ჰალი-მილუოლი	2:1
უენსდი-ბრენტფორდი	2:0

იტალია. თასი

ლაციო-მილანი	0:0

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-პესკარა	2:1
ასკოლი-ფოჯა	2:2
კოზენცა-კარპი	1:0
კროტონე-პალერმო	3:0
ლეჩე-ვერონა	2:1
პადოვა-ბრეშა	1:1
სალერნიტანა-კრემონეზე	2:0

საფრანგეთი. თასი

პსჟ-დიჟონი	3:0

პორტუგალია. თასი

პორტუ-ბრაგა	3:0

მოამზადა მისეილ ეორეოლიანმა

ბებიას დაკარგული ჩანთა 65 წლის შემდეგ დაუბრუნეს

ხანდაზმულ ამერიკელ ქალბატონს დაუბრუნეს ჩანთა, რომელიც მან სკოლის მაღალ კლასებში სწავლის დროს დაკარგა.

იანვარში მშენებლები სასწავლო დაწესებულების ძველ შენობას, რომელიც ინდიანას შტატის ქალაქ ჯეფერსონვილში მდებარეობდა, ანგრევდნენ. სამუშაოების მიმდინარეობისას მათ მომცრო გაცვეთილი ჩანთა იპოვეს. მასში ედო მარტა ინა ინგემის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მუშებმა ნაპოვნის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელებში იმის იმედით განათავსეს, რომ თავად ჩანთის პატრონი ან მისი რომელიმე ნათესავი გამოეხმაურებოდათ.

ინგემის ერთ-ერთმა ნათესავმა მართლაც ნახა განცხადება და 82 წლის ქალბატონს დაუკავშირდა, რომელიც ამ დროისთვის ჯეფერსონვილიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ ფლორიდის შტატში ცხოვრობს. თებერვლის ბოლოს ქალს მისი ხელჩანთა დაუბრუნეს.

65 წლის წინ დაკარგულ ხელჩანთაში ეწყო ტუჩის საცხი, ესტაფეტის ფირი და საღეჭი რეზინის ცარიელი შეკვრა. თუმცა ყველაზე საინტერესოდ ინგემი მიიჩნევს წერილს – მასზე შეყვარებული უფროსკლასელის მიწვევას გამოსაშვებ საღამოზე.

– ამ აღმოჩენამ უამრავი მოგონებები გამიღვიძა იმ ადამიანებზე, რომელთა შესახებაც მე უკვე წლებია არაფერი მსმენია. ეს არის ნივთები ჩემი იმ ცხოვრებიდან, რომელიც უკვე დიდი ხანია დავიწყებას მიეცა, – აღნიშნა ინგემმა და მშენებლებს მადლობა გადაუხადა.

ფერმერმა სხდომა თხებთან გამართა

ჩინეთში ფერმერმა სხდომა გამართა თხებთან, რომელზეც „მოგების მიღების სტრატეგია“ განიხილებოდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ფერმერი, გვარად ლუ, შეეცადა თხებისთვის აეხსნა, რომ მათ აუცილებლად უნდა გაეზარდათ შობადობა. ამ ღონისძიების ჩასატარებლად მამაკაცმა გარეთ დადგა მაგიდა, მას გადააფარა წითელი ქსოვილი, წინ დაიდგა ხმამაღლა მოლაპარაკე. ეზოში კი მის გარშემო ათეულობით თხა და ციკანი იმყოფებოდა.

საკუთარი გამოსვლა ფერმერმა დაიწყო მოწოდებით, რომ მეტი კონცენტრირებულება მართებდათ. მან ერთ-ერთი თხა გააკრიტიკა იმის გამო, რომ მას მეტისმეტად ბევრი პარტნიორი ჰყავს და ახალგაზრდა თაობას უსურვა, რომ მსგავსი ქმედებისგან თავი შეეკავებინათ. ეს ყოველივე ვიდეოზე ფერმერის ქალიშვილმა გადაიღო.

შეშინებულმა სპილოებმა ტურისტებს გზა გადაუღობეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტების ჯგუფი აღმოჩნდა იმ გზაზე, რომელზეც სპილოების ჯოგი ლომებს გაურბოდა.

ხუთი ბრიტანელი და ხუთი ავსტრალიელი, რომლებიც ავსტრალიური ერთ-ერთი სატელევიზიო შოუს გადამღებ ჯგუფს წარმოადგენდნენ, გადაღებების დასრულების აღსანიშ-

ნავად საფარიში გაემგზავრნენ. მგზავრობის დროს მათ გაიგონეს, თუ როგორ ხმას გამოსცემენ სპილოები. გიდმა მათ განუმარტათ, რომ მათ „ძალიან სწრაფად“ უახლოვდებოდათ სპილოების ჯოგი და მანქანის ძრავა გამორთო.

მალე ჯიპის წინ და უკან დაახლოებით 40-მა მსხვილმა ცხოველმა ჩაირბინა. ზოგიერთი მათგანი ტურისტების დანახვაზე მუქარის ნიშნად ეშვებს მაღლა სწევდა, თუმცა გიდი მთელი ამ დროის მანძილზე სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ტურისტებსაც სთხოვდა, რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინათ და არ შეშინებოდათ. მისი თქმით, „სპილოების ასეთი „აჟიოტაჟი“ იქვე შორიახლოს მშიერი ლომების პრაიდით იყო გამოწვეული.

– ვიდეოზე ჩვენ ვიცინით და ვიღიმებით, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მეტად სანერვიულო მომენტი იყო, ჩვენ ამ უზარმაზარმა სპილოებმა ძალიან შეგვაშინეს, მათი საშინელი ხმები და ყურების პარტყუნი სამუდამოდ დარჩება ჩემ მეხსიერებაში, – განაცხადა სპილოებთან ამ შეხვედრის ვიდეოს ავტორმა პროდიუსერმა ტრენტ ჰოლმსმა.

პარიზში უკანასკნელი პორნოკინოთეატრი დაიხურა

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში უკანასკნელი პორნოკინოთეატრი დაიხურა და მისმა მფლობელმა მისი ქონების გაყიდვაც მოაწყო.

1960 წელს გახსნილი კინოთეატრ „ბევერლის“ მფლობელმა, 75 წლის მორის ლაროშმა დაწესებულების დახურვის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2017 წლის დეკემბერში მიიღო.

ლაროშს ეს გადაწყვეტილება ოცი წლის წინანდელთან შედარებით სამჯერ შემცირებულმა შემოსავალმა მიაღებინა. ფრანგმა აღნიშნა, რომ მისი კლიენტების ასაკი სულ უფრო იზრდებოდა და ისინი იქ სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდნენ.

– ეს იყო ადგილი, სადაც შეგეძლო დარწმუნებული ყოფილიყავი, რომ არასრულწლოვნები პორნოგრაფიას ვერასოდეს ნახავდნენ. ახლა კი ისინი მათ საკუთარ ტელეფონებში უყურებენ, – განაცხადა ლაროშმა.

უკანასკნელი სეანსი – ტრადიციული „ღამე წყვილებისთვის“, „ბევერლიში“ 23 თებერვალს შედგა. ლაროში კი აპირებს, რომ ყველა მსურველს მიჰყიდოს ყველაფერი, რაც კინოთეატრიდან დარჩა – სავარძლები, პოსტერები, ფირები და „ნებისმიერი რამ“.

– გასაყიდად გამოვიტანე ყველაფერი, საკუთარი თავის გარდა, – განაცხადა უხალისო გამომეტყველებით ლაროშმა.

მედდა სილიკონით მოწამვლას უჩივის

ავსტრალიელმა შეი მაკდაუელმა აღიარა, რომ მას მკერდიდან სილიკონის იმპლანტების მოშორება დასჭირდა, ვინაიდან ისინი „მას წამლავდნენ“.

ქალაქ ბრისბენის მკვიდრმა, რომელიც ვეტერინარულ საავადმყოფოში მედდად მსახურობს, მკერდის გადიდების ოპერაცია შვიდი წლის წინ, 18 წლის ასაკში გაიკეთა.

ოპერაციიდან სამი წლის შემდეგ მაკდაუელს იმპლანტებით „მოწამვლის“ პირველი სიმპტომები გამოუვლინდა, თუმცა ის მათ ყურადღებას არ აქცევდა. ის თავის შეუძლოდ ყოფნას დაღლილობას მიაწერდა. დროთა განმავლობაში ქრონიკულ გადაღლილობას დაემატა მასტიტი, შფოთვა, შაკიკი, ეგზემა, პირში მუდმივი სიმშრალის შეგრძნება, ტკივილები სახსრებში, სიცხე და სისხლში შაქრის დაბალი შემცველობა. ქალს კანზე ყვითელი ფერი დაედო.

ავსტრალიელმა საკუთარი სიმპტომები ინტერნეტით შეისწავლა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის ავადმყოფობაში დამნაშავე სილიკონის იმპლანტები იყო.

საბოლოოდ მაკდაუელმა იმპლანტები რამდენიმე დღის წინ ამოიღო და მისი მტკიცებით, ოპერაციის შემდეგ სიმპტომების უმრავლესობა გაუქრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲓᲣᲑᲚᲘ

სანდრო მამუკელაშვილმა და გიორგი ბეჟანიშვილმა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მორიგი შედეგიანი მატჩები გამართეს, თუმცა მათმა გუნდებმა მარცხი განიცადეს. განსაკუთრებით გამოსარჩევია ბეჟანიშვილის თამაში, რომელმაც ნცაა-ში კარიერის პირველი ორმაგი დუბლი მიითვალა.

ბეჟანიშვილის ილინოისმა პენ სთეიტთან 76:83 წააგო, გიორგიმ კი მოედანზე 30 წუთი გაატარა და ორმაგი დუბლი შეასრულა. მისი მონაგარი 16 ქულა, 10 მოხსნა (5 შეტევაში), 1 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება იყო. ქართველმა მძიმე ფორვარდმა 14-დან 5 ორქულიანი გამოიყენა.

ილინოისელები 6 მოგებითა და 10 მარცხით ბიგ თენის კონფერენციაში მე-9 პოზიციაზე იმყოფებიან, მომავალ ტურში კი, ერთ-ერთ ლიდერ პერდიუსთან ჯახი ელით.

მამუკელაშვილის სეთონ ჰოლი სენტ ჯონსთან 70:78 დამარცხდა, ჩვენებურმა კი 30 წუთში 8 ქულა, 8 მოხსნა (3 შეტევაში) და 1 პასი მიითვალა. სანდრომ 4-დან 2 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა.

სეთონ ჰოლი 7 მოგებითა და 8 მარცხით ბიგ ისთის კონფერენციაში მე-4 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი ჯორჯთაუნთან ჩაატარებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატმა ლუკა ბულაშვილმა ესპანეთის რანგით მე-4 ლიგაში მორიგი წარმატებული მატჩი ჩაატარა. ქართველი უკანახაზელის კულერედომ შინაურ კედლებში ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი პონფერადა 65:61 დაამარცხა, ლუკა კი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ქართველი უკანახაზელი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 33 წუთში 20 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. ბულაშვილმა 7-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ლუკას სარგებლიანობის კოეფიციენტი 21-ს გაუტოლდა და ეს, მასპინძელთა რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

კულერედომ 13 მოგება და 5 მარცხი მოაგროვა და კიდევ 3 გუნდთან ერთად 1-4 ადგილებს ინაწილებს, დამატებითი მაჩვენებლებით კი, ლიდერის რანგში მოგვევლინა. ქართველი ლეგიონერის გუნდს მომდევნო მატჩი სტუმრად, სწორედ ერთ-ერთ მდევარ ჩანტა-დასთან ელის.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲝᲖᲘ

28 თებერვლისთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **ᲙᲣᲠᲛ** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო, შესაძლოა, დიდი პრობლემები შეგექმნათ. **ᲒᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს ნუ აჰყვებით. აჩქარება საქმეს მხოლოდ ავნებს. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲑᲘ** – ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ᲚᲝᲛᲘ** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ᲥᲐᲚᲬᲔᲚᲘ** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარება მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს სთხოვეთ. **ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ** – გადით ქალაქგარეთ, ივარჯიშეთ. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ᲛᲔᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ. **ᲛᲔᲠᲜᲧᲣᲚᲘ** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **ᲗᲔᲯᲜᲔᲑᲘ** – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ᲯᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲚᲘ Ბ

შვეულად: 1. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 6. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 7. მონასტერი ქსნის ხეობაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. მამალი ცხვარი; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 19. დიდი ღელვა ზღვაზე; 21. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 24. სამეჯლისო ცეკვა.

თარაზულად: 1. საქართველოში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ერთბინიანი პატარა სახლი; 8. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 9. დიდი ტანის ძაღლი; 14. გარითმული აფორიზმი; 15. სამურაბე ლამბაქი; 17. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოსგან განშორების სევდა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. როლექსი; 2. ფეთხაინი; 3. ბრიგადა; 5. რადიაცია; 7. აირზენა; 9. ბაქშტაინი; 13. შაოლინი; 15. ლუხუნი; 16. ნაბუკო; 18. ელადა.

თარაზულად: 4. ბოლერონი; 6. ბრეტიორი; 8. ბენედიქტინი; 10. ლოზუნგი; 11. ქადა; 12. ანდები; 14. ფლორა; 17. ტაიგა; 19. ცხუმი; 20. დულცინეა; 21. იოდი; 22. რინოსკოპი; 23. ბასკეთი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. პირამიდა; 6. ჯარა; 7. ქაშვეთი; 10. ბარი; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. ფეტა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. ასორტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. მითანა; 9. კობე; 14. ბროლა; 15. ბეშუმი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დვალი; 23. სლაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალაკი.

ოთო ნემსაძეს ჭორებს უვრცელებენ

მომღერალ ოთო ნემსაძეს ჭორებს უვრცელებენ. „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალისტს 3 მარტამდე რკინის ნებისყოფა სჭირდება, რომ იმ სიბინძურეებს არ უპასუხოს, რომლებიც მისი მისამართით ვრცელდება.

ამის შესახებ ინფორმაცია ოთოს ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ბარბარე უნდილაშვილმა გაავრცელა:

– წუხვარ იმაზე, რაც დღეს ხდება საქართველოში. ეს საშინელი და აუტანელი ამბავია. ოთო ნემსაძე ქართველი ვაჟკაცი და საუკეთესო ხელოვანია. მომღერალი, რომელსაც არაფერი აქვს ხელოვნური, არც ხმა, არც ნიჭი და არც სოციალური მდგომარეობითაა გაფუფუნებული განსხვავებით ბევრისგან. ის მშრომელი, სიმღერის მოყვარული და სამშობლოს მოყვარული ადამიანია. ის საქართველოს მომავალი თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ქართული სიტყვა უნდა თქვას.

ოთოს მოწოდება მხოლოდ ჯანსაღი და სუფთაა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ოთო ღირსეულად წარადგენს საქართველოს ევროვიზიაზე და არა მარტო. ამ წერილის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა იმ საშინელმა ჭორებმა, რაზეც ოთო წუხს. ეს მოცლილი, გაუნათლებელი, ერთუჯრედიანი, უორიენტაციო თუ არ ვიცი მდაბიო ადამიანების ჯგუფი აგორებს ძალიან ცუდ ჭორებს. ვწუხვარ, ვწუხვარ, რომ მათ ამის საშუალება ასე ღიად ეძლევათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მთელი საქართველო მიხვდება რაშიცაა საქმე.

კონკურსი უნდა იყოს ჯანსაღი. ოთო არის ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი და ის თამამად იტყვის ბოლომდე თავის სიტყვას. ვინც მე მიცნობს, მიხვდება, რომ ეს ფუჭი სიტყვები არ არის. ოთო შენ კი მოგმართავ და გეტყვი: მართალია პირველივე ტურიდან არ ვიყავი ჩართული პროექტში, მაგრამ ახლა ბოლომდე შენს გვერდით ვარ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დედაღვთისმშობელს ებარებოდე. წარმატება შენია და არა აქვს მნიშვნელობა, სად იდგები. სადაც არ უნდა იდგე და იმღერო, დარწმუნებული ვარ, ეს ქართველი ვაჟკაცის ნათქვამი სიტყვა იქნება. სიტყვა, რომელიც ძალიან სჭირდება ჩვენს ერს.

იხარე და იმრავლე. გისურვებ უამრავ წარმატებას, ზუსტად ისეთს, როგორი სუფთაც ხარ. დანარჩენ უორიენტაციო „საზოგადოებას“ კი მოვუწოდებ – შეწყვიტეთ ეს სიბინძურე! ოთოს თქვენი არ ეშინია, არც შურს და, პირიქით, ყველას წარმატება უხარია, იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცია, უპირველეს ყოვლისა.

გელა ჩარკვიანი: „ირაკლი დედ-მამას რაღაც კოდირებულ მესიჯს გვიგზავნიდა“

მომღერლისა და მწერლის ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალებიდან 13 წელი გავიდა. ამ უმძიმეს დღეს მისი მამა, გელა ჩარკვიანი ასე გამოეხმაურა:

– როგორც ჟურნალისტები, ისე ახლად გაცნობილი ცნობისმოყვარე ადამიანები ხშირად მეკითხებიან, ირაკლის სიმღერებიდან რომელი მომწონს ყველაზე მეტად.

ირაკლის მართლაც ბევრი კარგი სიმღერა აქვს დაწერილი, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა, მისი გარდაცვალების შემდეგ, საფორტეპიანო ტრიფტიქ „ირაკლიანას“ ვწერდი და მის ყველა დისკს მოვუსმინე. ნამდვილად არ არის ადვილი, ამოირჩიო საუკეთესო. საქმეს დამატებით კიდევ ის ართულებს, რომ ირაკლის სიმღერები არ არის სტილისტურად ჰომოგენური. იგი ორი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული ბუნების კომპოზიციებს ქმნიდა.

პირველი ძლიერი, ლამაზი მელოდიებია, რომლებსაც მსმენელი იმახსოვრებს და კიდევაც ღიღინებს თავისთვის. ასეთებია: „მე გადმოვცურავ ზღვას“, „ისტორიას დარჩება“, „ორღანი 78“, „სულს მოგცემ“ და არაერთი სხვა.

მეორე კი მინიმალისტური, გამიზნულად გულუბრყვილო, ან სულაც ბავშვურ-დადაისტური მრავალჯერ გამეორებული ფრაზები ან რეჩიტატივი, დასმული რთულ ტექნო-რიტმებზე. ამ კატეგორიას მიეკუთვნება: „შენ აფრენ“, „ომარას ძაღლი“, „აგრე რატომ მიყურებ?“

არის რამდენიმე ისეთიც, სადაც მან ერთდროულად გამოიყენა რეპიც, ტექნოც და ხარისხიანი მელოდიაც. ერთ-ერთი ამგვარია „სექსი“.

ვიცოდი რა ირაკლის, როგორც მელოდისტის შესაძლებლობები, მე მას პირველი ტიპის, ანუ მელოდიური სიმღერების წერისაკენ ვუბიძგებდი. დღევანდელი გადმოსახედიდან აშკარაა, რომ ირაკლიმ თავად უკეთ იცოდა, როდის რა უნდა ეწერა იმისათვის, რომ სრულად გამოეხატა თავისი რთული შინაგანი სამყარო. მის ლამაზ ჰიტებს შორის, როგორც ვთქვი, გამიჭირდება რომელიმე ერთის გამორჩევა, მაგრამ სპეციფიკურ გარემოებათა გამო, ზოგი სიმღერა ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ხოლმე.

2004 წლის ზაფხულში დასასვენებლად ჩაქვში მივდიოდით. ქეთათომ გადმომცა მისი და ირაკლის ახლად გამოსული საერთო ნამუშევარი. როცა ჩაქვში ჩავედით და მოვისმინეთ სიმღერა „ხალხს“, უცნაური გრძნობა დამეუფლა. მომეჩვენა, რომ ამ ფრაზით: „ჩვენ მხოლოდ ნოტებზე დავრჩებით, ხალხს არ მოვაბეზრებთ თავს“ – ირაკლი დედ-მამას რაღაც კოდირებულ მესიჯს გვიგზავნიდა იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო უახლოეს მომავალში.

მას შემდეგ, რაც ყოველივე მართლაც მოხდა, სწორედ ეს სიმღერა იქცა ირაკლის სულთან დამაკავშირებელ ჩვენს ყველაზე მძლავრ მედიუმად. მახსოვს, ლონდონში, დასაძინებლად ისე არ წავიდოდი, იქ შეძენილ იამაჰაზე რომ არ დამეკრა ეს თავისებურად სევდიანი მელოდია, რაღაც მისტიკური ძაფებით რომ მაკავშირებდა გარდაცვლილ შვილთან. იქვე შორიახლოს მჯდომ ჩემს მეუღლეს, ნანას გადავხედავდი ხოლმე, თუმცა ისედაც ვიცოდი, რომ ის უკვე ტიროდა.

მურმან ჯინორია და დათო ევგენიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ

8 მარტს რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია და კომპოზიტორი და პოეტი დათო ევგენიძე ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

საღამო ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნება და მასში მთავარ სტუმრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ დათო ევგენიძის ბენდის მუსიკოსები ლევან კემულარია, გია სალაღიშვილი და სანდრო ბიბი კვაჭაძე.

მურმან ჯინორია გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა კრებულის პერფორმანსს წარმოადგენს. ამავე საღამოზე მოხდება დათო ევგენიძის ავტობიოგრაფიულ ლექსთა და ვერლიბრთა პრეზენტაცია.

საღამოზე მოეწყობა არტ ექსპოს გამარჯვებული ახალგაზრდა მხატვრის თეკლა მელაძის პერსონალური გამოფენა.

გია სურამელაშვილმა რეპის სიმღერა დაიწყო

ქალაქური სიმღერების უბადლო შემსრულებელმა გია სურამელაშვილმა მუსიკალური მიმდინარეობის შეცვლა გადაწყვიტა და გარეპა. მუსიკალური სტილის შეცვლასთან ერთად, გიამ ჩაცმულობაც რადიკალურად შეიცვალა და ბრჭყვიალა სამოსის და სამკაულების ნაცვლად, ნამდვილი რეპერივით გამოწყობილი წარდგა საზოგადოების წინაშე.

„ჩემი კაი“ – ჰქვია სიმღერას, რომელსაც გია მალადოი და რობერტ გალსკი ასრულებენ. დუეტი გია სურამელაშვილმა ლევან კვარაცხელიასთან ჩაწერა, რომელიც რობერტო მავანის მეტსახელით არის ცნობილი.

ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეორგოლს უამრავი კომენტარი აქვს, სადაც წერენ, რომ გიას კაცური ჩაცმულობა ძალიან უხდება და ძველ სტილს აღარ დაუბრუნდეს.

ქეთი ხატიაშვილი მსოფლიო ბრენდის რეკლამაში გადაიღეს

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული და ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანი ტანმოვარჯიშე ქეთი ხატიაშვილი მსოფლიო ბრენდის „კასიო ბეიბი ჯი“-ს საათების რეკლამაში გადაიღეს.

გადაღებები თბილისში მიმდინარეობდა. სარეკლამო რგოლზე მუშაობა უკვე დასრულებულია და ის ინტერნეტშიც განთავსდა. ქეთის გულშემატკივრებმა სარეკლამო რგოლი მოიწონეს და ტანმოვარჯიშე ბევრი დადებითი კომენტარითაც დააჯილდოვეს.

თელავის თეატრში 16 წლამდე მაყურებელს არ უშვებენ

ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრში 16 წლამდე მაყურებელს არ დაუშვებენ.

პირველ მარტს თეატრი მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს, სადაც ასაკობრივი ზღვარია დაწესებული. რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი, რომელიც თეატრალური პრემია დურუჯის გასული წლის გამარჯვებულია ნომინაციაში საუკეთესო რეჟისორი, წარმოადგენს დარიო ფოს პიესების მიხედვით დადგმულ ერთმოქმედებიან კომედიას „კაცი ცოლს უღალატებს და სხვა ამბები.“

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კამერული ორკესტრი დაარსდა

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კამერული ორკესტრი „ოპერის კამერატა“ დაარსდა.

ახალი მუსიკალური შემადგენლობის პრეზენტაცია-კონცერტი 8 მარტს გაიმართება. მუსიკოსები მსმენელისთვის მოცარტის, მენდელსონის, ბარტოკის, ციწაძისა და მაჭავარიანის ნაწარმოებებს შეასრულებენ.

„ოპერის კამერატას“ საპრეზენტაციო კონცერტზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მამაკაცს სახლში ბურგერის მიტანა დაავიწყდა და უცოლოდ დარჩა

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ქალმა ოფიციალური განქორწინება მოითხოვა იმის გამო, რომ მისმა მეუღლემ ბურგერი არ მიუტანა.

აბუ-დაბის მკვიდრი 20 წლის გოგონა სახლში მარტო იმყოფებოდა, სანამ მისი მეუღლე მეგობრებთან ერთად ერთობოდა. მან მეუღლეს წასვლის წინ სთხოვა, რომ სახლში დაბრუნებისას მისთვის ფასტფუდიდან ბურგერი გამოეყოლებინა.

მამაკაცი სახლში ადგილობრივი დროით მხოლოდ დილის სამ საათზე დაბრუნდა და, რაც მთავარია, ბურგერის გარეშე. ამის გამო წყვილს შორის გაჩაღდა კამათი, რის შემდეგ ქალმა სახლი დატოვა და წავიდა. ახლა უკვე ის მეუღლესთან განქორწინებას აპირებს.

ადვოკატი ჰასან ალ მაზრუკიმ სიტუაციის კომენტირებისას აღნიშნა, რომ „ადამიანებს ქორწინებაში ცხოვრების მიმართ რეალისტური წარმოდგენები უნდა ჰქონდეთ“. მისი თქმით, წყვილს მოსამართლესთან მოუწევთ საქმის გარკვევა, რომელიც თავის მხრივ შეეცდება, მათ ურთიერთობის მოგვარებაში დაეხმაროს. თუ ამის შემდეგაც ქალი მაინც მოითხოვს განქორწინებას, მაშინ მას მახრას ნაწილზე უარის თქმა მოუწევს – სავალდებულო საჩუქარი, რომელსაც მუსლიმანი ქმრები ცოლებს უძღვნიან.

სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, სიძეებით, რძალი ლიკა გაგნიძე მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის

გერონტი კუხალეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ორმეტრიანმა პორტუგალიურმა ნავმა ავსტრალიელები შეაშინა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ზღვის ნაპირზე აღმოაჩინეს უზარმაზარი პორტუგალიური ნავი – შხამიანი ზღვის არსება.

შხამიანი არსება, რომლის სიგრძე ორ მეტრს აღემატებოდა, სერფერმა ომას ტროპიკული ციკლონის შემდეგ იპოვა. ფეისბუქში გამოქვეყნებულ კადრებში ნილ კამერონი არსების სიგრძის და გარეგნობის დემონსტრირებას სერფინგის დაფის ფონზე ახდენს.

– ციკლონი ზღვის სანაპიროზე რიყავს უზარმაზარ პორტუგალიურ ნავებს... ეს დაფა სიგრძეში 2,4 მეტრია... თავს უშველეთ! – დაწერა ვიდეორგოლის ავტორმა.

ვიდეორგოლის კომენტარებში ზოგმა ეჭვქვეშ დააყენა ასეთი ზომის არსების ნამდვილობა და ამის შესახებ გაცხოველებული მსჯელობაც კი გაიმართა.

– ეს რეალურია? მაშინ ფეხს არ ჩავდგამ ოკეანეში, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– ბავშვობაში მე და ჩემი მეგობრები ბანაობის დროს პორტუგალიურ ნავებს ვებრძოდით და შემიძლია დავიფიცო, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მაინც აღარ იქნებოდა ცოცხალი, ასეთ უზარმაზარს რომ გადავყროდით, – დაწერა მეორემ.

პორტუგალიური ნავი – პოლიპებისა და მედუზისებრთა მცურავ კოლონიას წარმოადგენს, რომლებიც ერთიან ორგანიზმად ყალიბდებიან. ისინი ატლანტის, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში ბინადრობენ. მათ შხამიან საცეცებთან შეხების შედეგად ადამიანი იღებს ძლიერ დამწვრობას. მსხვერპლს შესაძლოა დაუსივდეს ან წაერთვას კიდურები, ასევე დაეწყოს პარალიჩი, რომელიც წყლის სიღრმეში ყოფნის შემთხვევაში სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6940	ევრო — 3.0701
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5817	100 რუსული რუბლი — 4.0939

ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის

22 თებერვლიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღამოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან

შოდერლო დე ლაკლო

სახიფათო კავშირები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ბინაში ხუთმეტრიანი კობრა დაიჭირეს

ინდოეთის ოდიშას შტატში 4,9 მეტრი სიგრძის სამეფო კობრა დაიჭირეს, რომელმაც საცხოვრებელ სახლში შეაღწია.

სახლის მცხოვრებლებმა გველი დროულად შენიშნეს და ქვეწარმავლებზე მონადირეები გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა კობრას დაჭერა მოახერხეს, რის შემდეგაც ის ხის ყუთში მოათავსეს, სიმლიპალის ეროვნულ პარკში გადაიყვანეს და გაუშვეს.

აღსანიშნავია, რომ სამეფო კობრა მსოფლიოში ყველაზე მსხვილ შხამიან გველად ითვლება. მოზრდილი არსების საშუალო სიგრძე 3-4 მეტრს აღწევს, თუმცა ცნობილია ცალკეული ეგზემპლარები, რომელთა სიგრძე 5,7 მეტრს შეადგენდა. კობრას ნაკბენი სახიფათოა ადამიანისთვის. ის კბენიდან 15 წუთში იღუპება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ტელეფონის ზარია:

– ალო, ეს თქვენ ებრძვით ალკოჰოლიზმს?

– არა, უკვე დავნებდით...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს გახარებული ეუბნება:

– ბიჭი შემეძინა!

– გილოცავ! და ცოლი როგორაა?

– რომ გაიგებს... ჭკუიდან შეიშლება!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა შეიძლება იყოს ლამაზი ცოლის ჭირვეულობაზე უარესი?

– მახინჯი ცოლის ჭირვეულობა!

●●●

გემის კაპიტნის თანაშემწეს აღშფოთებული მგზავრი ქალბატონი მიმართავს:

– წარმოგიდგენიათ, წუხელის მთელი ღამე ჩემ კაიუტაში ვიღაც მთვრალი მეზღვაური ცდილობდა შემოღწევას!

– ქალბატონო, ნუთუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მესამე კლასის კაიუტის კარზე შეიძლება ზრდილობიანად დაკაკუნოს კაპიტანმა?

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, შეგიძლიათ მითხრათ, რა დაავადება უნდა გადაიტანოს ადრეულ ბავშვობაში ადამიანმა, რომ ნამდვილი დებილი გაიზარდოს?

– ერთ წუთს დამელოდეთ, ახლავე თქვენი ავადმყოფობის ისტორიას გადავხედავ და გიპასუხებთ.

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა უკმაყოფილო სახე გაქვს, რა მოხდა?

– გუშინ ჩემს ქმარს სათევზაო მოწყობილობის სრული კომპლექტი ვაჩუქე.

– მერე, რა გინდა, შენი ქმარი ათი წელი ხომ ყოველ შაბათ-კვირას სათევზაოდ დადის.

– საქმეც ეგ არის, ერთი ათი წუთი ხელში ატრიალა, შემდეგ კი მეკითხება, ესენი რისთვისაო?

●●●

8 მარტის წინა ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს და ეუბნება:

– საყვარელო, ვერ ვიძინებთ, იქნებ ვისიყვარულოთ?

– დაიძინე! საჩუქრებს ნაადრევად არ ვჩუქნი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რაკიტიჩით მანჩესტერ იუნაიტედიც დაინტერესდა

ბოლო პერიოდში ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ ბარსელონას ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი გუნდს ზაფხულში დატოვებს. ბარსელონამ ჰოლანდიელი ფრენკი დე იონგი, სავარაუდოდ, სწორედ რაკიტიჩის პოზიციაზე იყიდა და, შესაბამისად, რაკიტიჩის წასვლა სულაც არ იქნება მოულოდნელი.

აქამდე ხორვატი ფეხბურთელის შეძენა მილანის ინტერს სურდა, ბოლო ინფორმაციის მიხედვით კი, მანჩესტერ იუნაიტედიც ჩაერთო ამ საქმეში.

ბარსელონა ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, რაკიტიჩის სატრანსფერო ფასი კი მინიმუმ 80 მილიონი ევროა.

ბეილი უხამსი ჟესტის გამო არ დასაჯეს

მადრიდის რეალის უელსელი ვინგერი გარეთ ბეილი ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა არ დასაჯა. ბეილმა ატლეტიკოსთან შეხვედრაში ატლეტიკოს ფანებს უხამსი ჟესტი უჩვენა, რის გამოც მის დისკვალიფიკაციას ითხოვდნენ, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა სხვაგვარად გადაწყვიტა.

რა გახდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში ბეილს თანაგუნდელებთანაც დაეძაბა ურთიერთობა და შესაძლოა უელსელმა ფეხბურთელმა ზაფხულში რეალი დატოვოს.

ლესტერის ახალი მწვრთნელი ბრენდან როჯერსი გახდა

ლესტერს ოფიციალურად ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ეს ბრენდან როჯერსია, რომელიც ინგლისში დაბრუნდა.

როჯერსი 2015 წლამდე ლივერპულის მთავარი მწვრთნელი იყო, მაგრამ ცუდი შედეგების გამო ის გაათავისუფლეს. ამის შემდეგ როჯერსი შოტლანდიურ სელტიკს ჩაუდგა სათავეში და საკმაოდ წარმატებითაც იმუშავა, თუმცა რამდენიმე კვირის წინ ეს გუნდი დატოვა. ლესტერთან როჯერსმა 3 წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ის უკვე შეუდგა მუშაობას. როჯერსის თქმით, ლესტერის გაწვრთნა მისთვის დიდი პატივია.

ლევან მჭედლიძემ ისევ ტრავმა მიიღო

ემპოლის ქართველმა ფორვარდმა ლევან მჭედლიძემ ისევ ტრავმა მიიღო და ის შემდეგ თამაშს გამოტოვებს. მჭედლიძემ სულ ახლახან მოიშუშა ტრავმა, მაგრამ მას ძველი დაზიანება გაუმიზეზდა და ისევ მკურნალობა მოუწევს.

მჭედლიძე მთელი კარიერის მანძილზე იტანჯება ტრავმებით და ამ მიზეზის გამო მან ვერ შეძლო თავისი პოტენციალის ბოლომდე გამოყენება.

წლევანდელ სეზონში ლევანმა მხოლოდ 8 შეხვედრა ჩაატარა და 1 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 3. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 5. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 7. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 13. ბოსნიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 15. უცხო მხარიდან შემოტანილი მცენარე ან შემოყვანილი ცხოველი; 16. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 18. იგავ-არაკთა მამამთავარი.

თარაზულად: 4. ქვანახშირის მადნის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ნახევარვაგონი; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. წინადადების ერთ-ერთი მთავარი წევრი გრამატიკაში; 10. ნაციონალური პარკი-ნაკრძალი კენიაში; 11. სამხრეთ ამერიკის გვიანაში განთავსებული საფრანგეთის კოსმოდრომი; 12. ტერიტორიული ერთეული ირანში; 14. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 21. გერმანული ავტომობილი; 22. არენა, სადაც ძაღლების რბოლა იმართება; 23. პეკინის მეორე სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა